დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მაკა ტუკვაძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

1. ლელა ცარციძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
2. ლიანა ქოქიაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
3. თამარი ბეჟუაშვილი -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
4. ელენე ხუსკივაძე-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
5. ელენე ხუციშვილი -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
6. ცოტნე გვაჯაია-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
7. ლანა არახამია-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
8. ლელა ფანოზიშვილი- მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
9. ვლადიმერ უშიკიშვილი- სპორტის საგნობრივი ექსპერტი
10. ეკატერინე კვირკველია-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ -ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	246760688

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქედის მუნიციპალიტეტი
ფაქტობრივი მისამართი	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზუნდაგა მე-3 ქუჩა, N2ა
საფოსტო ინდექსი	6100
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi-admin.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	makhuntseti@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	558134141

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება-MES 3 25 0000548176 20/05/2025
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	26 და 27 ივნისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	1)ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზუნდაგა მე-3 ქუჩა, N2ა (ერთი ორსართულიანი შენობა) 2) ქედა , სოფელი ქვედა ბზუბზუ. (ერთი -ერთსართულიანი შენობა) 3) ქედა, სოფელი ზუნდაგა (ერთი - ერთსართულიანი შენობა
2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზუნდაგა მე-3 ქუჩა N2ა (ერთი ორსართულიანი შენობა)
3.	ზოგადი განათლების საშუალო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზუნდაგა მე-3 ქუჩა N2ა (ერთი ორსართულიანი შენობა)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2025 წლის 26 და 27 ივნისს სსიპ-ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასება და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალები. რამდენჯერმე განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შეთანხმდა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას. მასალების შესწავლის შემდგ ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია. ბრძანების შესაბამისად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა შეფასების პროცესი განახორციელეს ადგილზე ვიზიტით, ჯგუფის სხვა წევრებმა კი დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების (Google Meet) გამოყენებით.

ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში. ადგილზე ვიზიტის დროს შევისწავლეთ სკოლის ინფრასტრუქტურა სამივე მისამართზე: სოფელი ზუნდაგა მე-3 ქუჩა, N2ა (ერთი ორსართულიანი შენობა)- დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხური
სოფელი ქვედა ბზუბზუ (ერთი -ერთსართულიანი შენობა)- დაწყებითი (1-4კლ) საფეხური
სოფელი ზუნდაგა (ერთი -ერთსართულიანი შენობა) - დაწყებითი (1-4კლ) საფეხური

სოფელი ზუნდაგა მე-3 ქუჩა, N2ა (ერთი ორსართულიანი შენობა) ლოკაციაზე, სადაც სწავლება ხორციელდაბა სამივე საფეხურზე დავათვალიერეთ, კომპიუტერული კლასი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები (ქიმიის- ფიზიკის და ბიოლოგიის), სკოლის ინკლუზიური გარემო, პერსონალის პირადი საქმეები. ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება: დირექციის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან. საგნობრივი ექსპერტები გაესაუბრნენ შესაბამისი კათედრის წარმომადგენლებს. ინტერვიუირების პროცესში, საგნობრივი ექსპერტების მიერ დაისვა დამაზუსტებელი კითხვები კურიკულუმის დანერგვის პროცესებთან მიმართებით. დაწყებითი საფეხურის ექსპერტი ჩართული იყო გასაუბრების პროცესში და ვიზიტის შემდეგ მონაწილეობდა დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების რევიზიის პროცესში.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
----------	----------	----------

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლისთვის პროირიტეტულია ფორმალურ განათლებასთან ერთად არაფორმალური განათლების გაძლიერება. პროფორიენტაციის კუთხით, სკოლა ხშირად მართავს შეხვედრებს სხვადასხვა კოლეჯის წარმომადგენლებთან, ადგილზე ვიზიტებითა და ტრენინგებით ხდება მოსწავლეების დაინტერესება და მომავალი პროფესიის არჩევის ხელშეწყობა. არაფორმალური მიმართულებით მნიშვნელოვანია სკოლაში არსებული საკლუბო მუშაობა (ეკო კლუბი „მწვანე სიცოცხლე, და ნორჩ რეინჯერთა კლუბის ,,ნერგები“). სკოლაში მოწყობილია ხელოვნების სახელოსნო, სადაც მოსწავლეები თექაზე მუშაობის ხელოვნებას ეუფლებიან. სკოლის მოსწავლეები ჩართული არიან მრავალფეროვან სასკოლო თუ ქვეყნის მასშტაბით დაგეგმილ ღონისძიებებში. სკოლას აქვს დამკვიდრებული პრაქტიკა, მოსწავლეებში წიგნიერების დონის ამღლების მიმართულებით. წლის განმავლობაში რამდენჯერმე, გამოწვევის სახით სკოლის დერეფანში და საცნობარო დაფაზე გამოიკვრება განცხადება /გამოწვევა , სადაც განსაზღვრულია წინასწარ წასაკითხი ლიტერატურა და მითითებულია ვადები როდის უნდა დაასრულონ წაკითხვა. აქტივობაში ჩართულია, როგორც მოსწავლეები ასევე მასწავლებლებიც და სკოლის ნებისმიერ დაინტერესებულ პირი. შემდგომ ხდება წაკითხული წიგნის საჯარო განხილვა და შინაარსის მიხედვით ეწყობა ფილმის ჩვენება. სკოლაში ეწყობა იმიტირებული კინოჩვენების დარბაზი შესაბამისი ატრიბუტებით. წიგნი შერჩეულია იმ მასალიდან, რომელსაც აჭარის განათლების სამინისტრო აქვეყნებს წლის დასაწყისში „ლიტერატურული მარათონი“-ს ფარგლებში. სკოლა თვლის რომ აღნიშნული აქტივების დამსახურებით მუხუცეთის საჯარო სკოლის მოსწავლეები ზედიზედ მეორე წელია საპრიზო ადგილს იკავებენ აჭარის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული სკოლებს შორის.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 250	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(დაწყებითი საფეხური)*	*ხარვეზი*
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(საბაზო საფეხური)*	*ხარვეზი*
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(საშუალო საფეხური)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

1 გარდ მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2025 წლის ივლისი-2026 წლის ივლისი) უზრუნველყოს მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული სტატუსი მქონე პედაგოგების დასაქმება.
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიე გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფო მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	**სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს:** ✓ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის უწყებასთან სამივე მისამართზე(2025 წლის ივლისი-2027 წლის ივლისი) ✓ სკოლის სამივე მისამართზე არსებული შენობებისთვის მდგრადობის დასკვნის მოპოვება (2025 წლის ივლისი-2027 წლის ივლისი) ✓ სოფელ ბზუბზუს და ზუნდაგის დაწყებოთი სკოლების სივრცეების ვიდეოსათვალთვალო კამერებით აღჭურვა (2025 წლის ივლისი-2027 წლის ივლისი)
ინდიკატორი 3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალიწინებულ ვადებში (2025აგვისტო-2027აგვისტო) სოფელ ზუნდაგის ორსართულიან შენობის სრული ადაპტირება, კერძოდ ადაპტირებული სველი წერტილების მოწყობა და სართულებზე

		გადასაადგილებალად პანდუსის ან ლიფტის დამონტაჟება, ხოლო სოფელ ზუნდაგის და სოფელ ბზუბზუს ერთასართულიანი შენობის შესასვლელისთვის პანდუსის და ადაპტირებული სველი წერტილები მოწყობა 2027 წლის აგვისტოსთვის
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი.		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი -დაწყებით საფეხური	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი. **2.2.2.4**	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2025 წლის ივლისი -2026 წლის ივლისი), სკოლამ დაწყებით საფეხურზე უზრუნველყოს მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული სტატუსის მქონე დაწყებითი საფეხურის პედაგოგების დასაქმება.
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი -საბაზო საფეხური**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**
ინდიკატორი. 2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2025 წლის ივლისი-2026 წლის ივლისი), სკოლამ საბაზო საფეხურზე უზრუნველყოს მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული სტატუსის მქონე სპორტის პედაგოგების დასაქმება.
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი -საშუალო საფეხური**	**სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია**

ინდიკატორი. 2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2025 წლის ივლისი-2026 წლის ივლისი), სკოლამ საშუალო საფეხურზე უზრუნველყოს მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული სტატუსის მქონე სპორტის პედაგოგების დასაქმება.

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი **1.1.1.1**	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს	სასურველი, დაწესებულებამ ხედვის ფორმირებისას გაითვალისწინოს ხედვის არსებითი მახასიათებლები. კერძოდ, ხედვა არის მოკლე განაცხადი, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციის განვითარების საშუალო ვადიან ან გრძელვადიან მიზნებს. ხედვაში ასახული უნდა იყოს სკოლის მისწრაფებები ანუ როგორ ხედავს სკოლა საკუთარ თავს დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ.
ინდიკატორი **1.2.1.2**	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	სასურველია, მეთოდოლოგიის შესაბამისად ერთი სტრუქტურული ორგანოს მიერ დამტკიცებული მარეგულირებელი დოკუმენტი, აღნიშნულ შემთხვევაში სტრატეგიული გეგმა, აღარ დაამტკიცოს კიდევ სხვა სტრუქტურამ.
ინდიკატორი **1.2.1.4**	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები,პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა	სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს რესურსების ნაწილის გამჭირვალეობა. კერძოდ, დაზუსტდეს კონკრეტული აქტივობების განხორციელება რომელი რესურსითაა შესაძლებელი: ადამიანური, ფინანსური თუ მატერიალურით. ასევე შესრულების ინდიკატორი აჩვენებდეს თუ როგორი შედეგი უნდა დადგეს იმისთვის, რომ სტრატეგიული გეგმის კონკრეტული ამოცანა ჩაითვალის შესრულებულად. შეეცადეთ, ინდიკატორი იყოს ხარისხობრივად ან

	უზრუნველყოფაც რეალისტურია	რაოდენობრივად გაზომვადი.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N..**3.1.2.1**	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად	სასურველია მასწავლებლთან გაფორმებულ შრომით ხელშკრულებაში ძალადაკარგული საკანონმდებლო აქტი ჩანაცვლდეს მოქმედით საკანონმდებლო აქტით (იხ. 3.1.2.1 ინდიკატორის აღწერა). ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით, მასწავლებლეთან ერთად განისაზღვროს სხვა პერსონალის ვაკანტურ პოზიციაზე მიღების პროცესები.
ინდიკატორი 3.1.2.**3**	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	სასურველია, სკოლამ შინაგანაწესით ან ადამინური რესურსების მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვროს პერსონალის პირადი საქმეებში განსათავსებელი დოკუმენტაციის ნუსხა.
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის	სასურველია, სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში

	განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
ინდიკატორი 3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	სასურველია ,,პირველადი გადაუდებელი დახმარების, სკოლის სამედიცინო მომსახურების კაბინეტის ფუნქციონირების წესში“ დეტალურად აღიწეროს ადმინისტრაციულად მიერთებულ სკოლებში რეალურად მოქმედი პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები ან მოხდეს აღნიშნულ მისამართზე დასაქმებული რომელიმე პერსონალი გადამზადდეს პირველადი სამედიცინო დახმარების მიმართულებით. (დეტალურად იხილეთ 3.4.1.2 ინდიკატორის აღწერა)
ინდიკატორი 3.4.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას	სასურველია ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობებით“ დარეგულირდეს მრჩეველთა საბჭოს და უფლებამოსილი პირის ფუნქცია-მოვალეობები.
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი **4.1.2.1**.	1 სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები	სასურველია სკოლის მიერ შემუშავებული ,,მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები“ მოიცავდეს უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების მქონე პირის სკოლაში ჩარიცხვის პროცედურებს და პირველი კლასის გარდა სხვა კლასის სსსმ მოსწავლის მობილობის რეგულაციებს.

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* *დაწყებითი საფეხური*	*რჩევა*
ინდიკატორი **2.1.2.1**	1 შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** : სასურველია ყველა საგნის კურიკულუმში ჩანდეს მაგალითი შედარებისათვის და კონტექტ მაგალითები. **უცხოური ენები**:კურიკულუმის ჩარჩოში, კონკრეტულად კონტექსტ

		მაგალითის სვეტში სწორად იყოს მითითებული შესაბამისი დავალება, აქტივობა (ძირითადად, ინგლისური ენის კურიკულუმები) შეავსონ შეფასების გრაფა ან დანართის სახით დაურთონ, რადგან ზოგ კურიკულუმში არსებობს ეს სვეტი და არ არის შევსებული. **ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია მომავალი სასწავლო წლიდან სკოლამ დაწყებითი და საბაზო საფეხურის კურიკულუმის დაგეგმვისას გაითვალისწინოს ყველა სტრუქტურული ერთეული: თემატური ბლოკი, თემა, სამიზნე ცნება/ქვეცნება, საკითხი, კონტექსტ მაგალითი, შემოქმედებითი დავალება, რესურსი და დაიცვას საფეხურით განსაზღვრული სტანდარტთან მიმართებები. სასურველია მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სამივე საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო იყოს ერთნაირი. ასევე დაწყებით და საბაზო საფეხურის რესურსებ გრაფა იქნას სრულად შევსებული გვერდების მითითებით. **სპორტი**: სასურველი იქნება სამომავლოდ მეტი თემა იყოს წარმოდგენილ თეორიული მიმართულებით. **უცხოური ენები:**კურიკულუმის ჩარჩოში, კონკრეტულად კონტექსტ მაგალითის სვეტში სწორად იყოს მითითებული შესაბამისი დავალება, აქტივობა (ძირითადად, ინგლისური ენის კურიკულუმები) შეავსონ შეფასების გრაფა ან დანართის სახით დაურთონ, რადგან ზოგ კურიკულუმში არსებობს ეს სვეტი და არ არის შევსებული. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:**სასურველია კურიკულუმის ჩარჩოებში, კონკრეტულ სვეტებში სწორად იყოს მითითებული შესაბამის აქტივობები.
ინდიკატორი **2.1.2.2**	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოებში თემებისა და სამიზნე ცნებების ფორმულირება და რაოდენობები თანხვედრაში მოვიდეს საგნობრივ სტანდარტის მოთხოვნებთან. **საზოგადოებრივი მეცნიერებები:**სასურველია რომ ყველა საგნობრივი ჯგუფის კურიკულუმი იყოს ერთი ტიპის, ასევე ცნებები და ქვეცნები იყოს შესაბამისობაში ყველა საგნობრივ ჯგუფში

		ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური: სასურველია გაიწეროს და დაიფაროს ესგ-ით მოცემული ყველა სამიზნე ცნება
ინდიკატორი **2.1.2.3**	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია, გადაიხედოს შემოქმედებითი პროდუქტის რაოდენობა, რათა მოხდეს სასწავლო მასალის სრულფასოვნად ათვისება კონკრეტულ ვადაში, კათედრაზე ჩამოყალიბდეს ერთიანი ხედვა, სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში დაწყებით საფეხურზე შემოქმედებითი პროდუქტის (კომპლექსური დავალების) რაოდენობასთან დაკავშირებით მაგ: სემესტრის განმავლობაში ერთი მაინც; სასურველია **მუსიკაში ყველა საფეხურის კურიკულუმში** ჩაემატოს „მაგალითები შედარებისთვის“ სვეტი და შეივსოს თემის, ცნება/ქვეცნებების და საკითხის გათვალისწინებით.. სასურველია, ძირითად რესურსად გამოყენებული იყოს გრიფირებული სახელმძღვანელოები, გვერდების მითითებით. **სახელმწიფო ენა:** სასურველია ელექტრონული რესურსების მეტი მრავალფეროვნება და მასწავლებელთა მიერ მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროების მიხედვით შექმნილი რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში. **მათემატიკა:** სასურველია ელექტრონული რესურსების მეტი მრავალფეროვნება, ასევე აქცენტი გაკეთდეს მასწავლებელთა მიერ შექმნილი რესურსების გამოყენებაზე სასწავლო პროცესში. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:**სასურველია ყველა რესურსი,რასაც იყენებენ თემის დამუშავების პროცესში ასახონ კურიკულუმში არსებულ სვეტში „სასწავლო რესურსები“.
ინდიკატორი **2.1.2.4**	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებ	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** ბუნებისმეტყველების პედაგოგებმა კომპლექსური დავალების მატრიცებში(აქტივობებში) გაითვალისწინონ **ინკლუზიური და დიფერენცირებული** მიდგომები. სასურველია თუ ასეთ მიდგომები გათვალისწინებული იქნება დიაგნოსტიკური და შემაჯამებელი ტესტების შედგენისას. **საზოგადოებრივი მეცნიერებები:**სასურველია, რომ ყველა საგანში, ყველა კომპლექსურ ან კოპმლექსური ტიპის დავალებას თან ახლდეს ცნებებზე

		მორგებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები **მათემატიკა:**სასურველია შეფასების რუბრიკები სრულყოფილად ფარავდ კურიკულუმით განსაზღვრულ თემის გარშემო საკითხებს და შედგენილი იყოს კონკრეტულ დავალებაზე. **სახელმწიფო ენა:**სასურველია შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, კომპლექსური ბუნების დავალებების პირობების შექმნისას მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები
ინდიკატორი **2.1.2.5**	1 მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**ბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია მომზადდეს სამიზნე ბაზე და მკვიდრი წარმოდგენების შინაარსთან ორიენტირებული, მავითარებელი შეფასების რუბრიკები იმ კონტექს-მაგალითებისათვის, მლის ფარგლებში განხორციელდება კომპლექსური დავალებები. **სახელმწიფო ენა:** სასურველია, სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე სრულად მომზადდეს შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან / ქვესაკითხებთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, იმ კონტექსტ-მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შუალედური სასწავლო მიზანი (კომპლექსური /კომპლექსური ბუნების დავალებები ან/და სასწავლო პროექტები), აგრეთვე ყველა თემის ფარგლებში სრულად მომზადდეს ინდიკატორების საფუძველზე საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით განმსაზღვრელი შეფასები რუბრიკები. **მათემატიკა:**სასურველია შეფასების რუბრიკები სრულყოფილად ფარავდ კურიკულუმით განსაზღვრულ თემის გარშემო საკითხებს და შედგენილი იყოს კონკრეტულ დავალებაზე. **სპორტი:** სამომავლოდ, სასურველი იქნება, შეფასების რუბრიკები შეიქმნას კურიკულუმით გათვალისწინებული სხვა თემების მიხედვითაც **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:** სასურველია ყველა საგანში, შეფასების რუბრიკებში რაიმე საკითხის/ კომპლექსური ტიპის

		დავალების/თემის/სასწავლო პროექტის/შემაჯამებელი დავალების შეფასებისას გაიწეროს კონკრეტული მოლოდინები/მიღწევის შედეგები თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს კავშირი შუალედურ მიზანსა და გრძელვადიან მიზანს შორის.
ინდიკატორი **2.2.1.3**	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია შეფასებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის ვერიფიკაცია, ვერიფიკაციის შესაბამისი წესის მიხედვით.
ინდიკატორი **2.2.2.1**	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი დ დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენე სასწავლო პროცესში	**სახელმწიფო ენა:** სასურველია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებ სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ. **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:** სასურველია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ, მაგალითად საჭირო მატერიალური რესურსები; ელ.ბმულები.
ინდიკატორი **2.2.2.2**	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, სკოლამ შექმნას რესურსების ვალიდაციის დოკუმენტი, რის საფუძველზეც შეირჩევა დამხმარე სასწავლო რესურსები.
ინდიკატორი **2.2.2.3**	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლ შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილ შესაბამისი მატერიალური რესურსი მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობის გათვალისწინებით	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია სკოლამ , საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში, გონივრულ ვადებში უზრუნველყოს გამწოვი სისტემის, წყლის შეყვანა/დამონტაჟება და სამუშაო მაგიდებზე დამცავი მუშამბების გამოყენებასრულყოფილი სავენტილაციო სისტემა, გამდინარე წყალი, საბაზო და საშუალო საფეხურზე კეთებით სწავლების სტრატეგიის ხელშესაწყობად და ექსპერიმენტების ჩატარების დროს უსაფრთხოების ყველა წესის დაცვის მიზნით სკოლამ
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *საბაზო საფეხური*	*რჩევა*
ინდიკატორი **2.1.2.1**	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის	**ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია მუსიკის და სახვითი ხ გამოყენებითი ხელოვნების სამივე საფეხურის კურიკულუმის ჩარჩ

	დაგეგმვისა და განვითარების გზას	იყოს ერთნაირი. ასევე დაწყებით და საბაზო საფეხურის რესურსებ გრაფა იქნას სრულად შევსებული გვერდების მითითებით. **სპორტი**: სასურველი იქნება სამომავლოდ მეტი თემა იყ წარმოდგენილი თეორიული მიმართულებით. **უცხოური ენები:**კურიკულუმის ჩარჩოში, კონკრეტულად კონტექს მაგალითის სვეტში სწორად იყოს მითითებული შესაბამისი დავალებ აქტივობა (ძირითადად, ინგლისური ენის კურიკულუმები) შეავსო შეფასების გრაფა ან დანართის სახით დაურთონ, რადგან ზ კურიკულუმში არსებობს ეს სვეტი და არ არის შევსებული.
ინდიკატორი **2.1.2.2**	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლ გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:**სასურველია რომ ყველა საგნობრივ ჯგუფის კურიკულუმი იყოს ერთი ტიპის, ასევე ცნებები და ქვეცნებ იყოს შესაბამისობაში ყველა საგნობრივ ჯგუფში
ინდიკატორი **2.1.2.3**	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია, გადაიხედოს შემოქმედებითი პროდუქტის რაოდენობა, რათა მოხდეს სასწავლო მასალის სრულფასოვნად ათვისება კონკრეტულ ვადაში, კათედრაზე ჩამოყალიბდეს ერთიანი ხედვა, სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა დ მუსიკაში საბაზო საფეხურზე შემოქმედებითი პროდუქტის (კომპლექსური დავალების) რაოდენობასთან დაკავშირებით მაგ: სემესტრის განმავლობაში ერთი მაინც; სასურველია **მუსიკაში ყველა საფეხურის კურიკულუმში** ჩაემატოს „მაგალითები შედარებისთვის“ სვეტი და შეივსოს თემის, ცნება/ქვეცნებების და საკითხის გათვალისწინებით.. სასურველია, ძირითად რესურსად გამოყენებული იყოს გრიფირებული სახელმძღვანელოები, გვერდების მითითებით. **სახელმწიფო ენა:** სასურველია ელექტრონული რესურსების მეტი მრავალფეროვნება და მასწავლებელთა მიერ მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროების მიხედვით შექმნილი რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში.

		მათემატიკა:სასურველია ელექტრონული რესურსების მეტი მრავალფეროვნება, ასევე აქცენტი გაკეთდეს მასწავლებელთა მიერ შექმნილი რესურსების გამოყენებაზე სასწავლო პროცესში.
ინდიკატორი **2.1.2.4**	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, პედაგოგებმა კომპლექსური დავალების მატრიცებში(აქტივობებში) გაითვალისწინონ **ინკლუზიური და დიფერენცირებული** მიდგომები. სასურველია თუ ასეთი მიდგომები გათვალისწინებული იქნება დიაგნოსტიკური და შემაჯამებელი ტესტების შედგენისას **საზოგადოებრივი მეცნიერებები:**სასურველია, რომ ყველა საგანში, ყველ კომპლექსურ ან კოპმლექსური ტიპის დავალებას თან ახლდეს ცნებებზე მორგებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები **სახელმწიფო ენა:**სასურველია შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, კომპლექსური ბუნების დავალებების პირობების შექმნისას მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები **მათემატიკა:**სასურველია შეფასების რუბრიკები სრულყოფილად ფარავდეს კურიკულუმით განსაზღვრულ თემის გარშემო საკითხებს და შედგენილი იყოს კონკრეტულ დავალებაზე.
ინდიკატორი **2.1.2.5**	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია,მომზადდეს სამიზნე ცნებაზე და მკვიდრი წარმოდგენების შინაარსთან ორიენტირებული, განმავითარებელი შეფაფასების რუბრიკები იმ კონტექს-მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებში განხორციელდება კომპლექსური დავალებები. **საბაზო საფეხურზე** შეიქმნას ყველა სასწავლო თემის ფარგლებში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, სამიზნე ცნებების და ინდიკატორების საფუძველზე საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით. **სახელმწიფო ენა:** სასურველია,სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე სრულად მომზადდეს შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან / ქვესაკითხებთან მიმართებით,

		სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, იმ კონტექსტ-მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შუალედური სასწავლო მიზანი (კომპლექსური /კომპლექსური ბუნების დავალებები ან/და სასწავლო პროექტები), აგრეთვე ყველა თემის ფარგლებში სრულად მომზადდეს ინდიკატორების საფუძველზე საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **მათემატიკა:** სასურველია შეფასების რუბრიკები სრულყოფილად ფარავდეს კურიკულუმით განსაზღვრულ თემის გარშემო საკითხებს და შედგენილი იყოს კონკრეტულ დავალებაზე. **სპორტი:** სასურველია, შეფასების რუბრიკები შეიქმნას კურიკულუმით გათვალისწინებული სხვა თემების მიხედვითაც
ინდიკატორი **2.2.1.3**	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**სასურველია შეფასებასთ დაკავშირებული ყველა დოკუმენტის ვერიფიკაცია, ვერიფიკაციი შესაბამისი წესის მიხედვით.
ინდიკატორი **2.2.2.1**	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	სახელმწიფო ენა: სასურველია, საბაზო საფეხურის კურიკულუმებ სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ.
ინდიკატორი **2.2.2.2**	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სკოლამ შექმნას რესურსების ვალიდაციის დოკუმენტი, რის საფუძველზეც შეირჩევა დამხმარე სასწავლო რესურსები.
ინდიკატორი **2.2.2.3**	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არ არსებობს სრულყოფილი სავენტილაციო სისტემა, გამდინარე წყალი, საბაზო და საშუალო საფეხურზე კეთებით სწავლების სტრატეგიის ხელშესაწყობად და ექსპერიმენტების ჩატარების დროს უსაფრთხოების ყველა წესის დაცვის მიზნით აუცილებელია სკოლამ გონივრულ ვადებში უზრუნველყოს

		გამწოვი სისტემის, წყლის შეყვანა/დამონტაჟება და სამუშაო მაგიდებზე დამცავი მუშამბების გამოყენება

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *საშუალო საფეხური*	*რჩევა*
ინდიკატორი **2.1.2.1**	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი დაგეგმვისა და განვითარების გზას	**ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სამივე საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო იყოს ერთნაირი. ასევე დაწყებით და საბაზო საფეხურის რესურსების გრაფა იქნას სრულად შევსებული გვერდების მითითებით. **სპორტი**: სასურველი იქნება სამომავლოდ მეტი თემა იყოს წარმოდგენილი თეორიული მიმართულებით. **უცხოური ენები:**კურიკულუმის ჩარჩოში, კონკრეტულად კონტექსტ მაგალითის სვეტში სწორად იყოს მითითებული შესაბამისი დავალება, აქტივობა (ძირითადად, ინგლისური ენის კურიკულუმები) შეავსონ შეფასების გრაფა ან დანართის სახით დაურთონ, რადგან ზოგ კურიკულუმში არსებობს ეს სვეტი და არ არის შევსებული.
ინდიკატორი **2.1.2.2**	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლ გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სასურველია. რომ ყველა საგნობრივი ჯგუფის კურიკულუმი იყოს ერთი ტიპის, ასევე ცნებები და ქვეცნები იყოს შესაბამისობაში ყველა საგნობრივ ჯგუფში
ინდიკატორი **2.1.2.3**	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**სახელმწიფო ენა:** სასურველია ელექტრონული რესურსების მეტი მრავალფეროვნება და მასწავლებელთა მიერ მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროების მიხედვით შექმნილი რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში. **მათემატიკა:**სასურველია ელექტრონული რესურსების მეტი მრავალფეროვნება, ასევე აქცენტი გაკეთდეს მასწავლებელთა მიერ შექმნილი რესურსების გამოყენებაზე სასწავლო პროცესში.
ინდიკატორი **2.1.2.4**	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია პედაგოგებმა კომპლექსური დავალების მატრიცებში(აქტივობებში) გაითვალისწინონ **ინკლუზიური და დიფერენცირებული** მიდგომები. სასურველია თუ

		ასეთი მიდგომები გათვალისწინებული იქნება დიაგნოსტიკური და შემაჯამებელი ტესტების შედგენისას **საზოგადოებრივი მეცნიერებები:**სასურველია, რომ ყველა საგანში, ყველ კომპლექსურ ან კოპმლექსური ტიპის დავალებას თან ახლდეს ცნებებზე მორგებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები **სახელმწიფო ენა:**სასურველია შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, კომპლექსური ბუნების დავალებების პირობების შექმნისას მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები **მათემატიკა:**სასურველია შეფასების რუბრიკები სრულყოფილად ფარავდეს კურიკულუმით განსაზღვრულ თემის გარშემო საკითხებს და შედგენილი იყოს კონკრეტულ დავალებაზე.
ინდიკატორი **2.1.2.5**	1 მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:**სასურველია,მომზადდეს სამიზნე ცნებაზე და მკვიდრი წარმოდგენების შინაარსთან ორიენტირებული, განმავითარებელი შეფაფასების რუბრიკები იმ კონტექს-მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებში განხორციელდება კომპლექსური დავალებები. საშუალო საფეხურზე შეიქმნას ყველა სასწავლო თემის ფარგლებში განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, სამიზნე ცნებების და ინდიკატორების საფუძველზე საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით. **სახელმწიფო ენა:** სასურველია სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე სრულად მომზადდეს შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან / ქვესაკითხებთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, იმ კონტექსტ-მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შუალედური სასწავლო მიზანი (კომპლექსური /კომპლექსური ბუნების დავალებები ან/და სასწავლო პროექტები), აგრეთვე ყველა თემის ფარგლებში სრულად მომზადდეს ინდიკატორების საფუძველზე საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. **მათემატიკა:** სასურველია შეფასების რუბრიკები სრულყოფილად ფარავდეს კურიკულუმით განსაზღვრულ თემის გარშემო საკითხებს

		და შედგენილი იყოს კონკრეტულ დავალებაზე. **სპორტი:** სასურველია შეფასების რუბრიკები შეიქმნას კურიკულუმით გათვალისწინებული სხვა თემების მიხედვითაც
ინდიკატორი **2.2.1.3**	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია შეფასებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის ვერიფიკაცია, ვერიფიკაციის შესაბამისი წესის მიხედვით.
ინდიკატორი **2.2.2.1**	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**სახელმწიფო ენა:** სასურველია, საშუალო საფეხურის კურიკულუმებ სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ.
ინდიკატორი **2.2.2.2**	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია სკოლამ შექმნას რესურსების ვალიდაციის დოკუმენტი, რის საფუძველზეც შეირჩევა დამხმარე სასწავლო რესურსები.
ინდიკატორი **2.2.2.3**	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:** სასურველია, სკოლამ გონივრულ ვადებში უზრუნველყოს გამწოვი სისტემის, წყლის შეყვანა/დამონტაჟება და სამუშაო მაგიდებზე დამცავი მუშამბების გამოყენება

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებული პოზიციას, რომლის ფარგლებშიც წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა და ხარვეზის გამოსწორების მასალები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე შეიცვალა 3.1.2.3 და 2.1.2.1. (დაწყებითი

და საბაზო საფეხურების) ინდიკატორების შეფასება და გადავიდა სრულ შესაბამისობაში. კერძოდ, სკოლამ წარმოდგინა ,,საქმიანობის უფლების ჩამორთმევის“ ცნობები და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურკულუმები (მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-8 და მე9 კლასები). შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით ინდიკატორები: 3.1.2.4 და 2.2.2.4 (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) გადავიდა მატწილ შესაბამისობაში, ხოლო ინდიკატორები 3.4.1.1 და 3. 5.1.4 ნაწილობრივ შესაბამისობაში.
არგუმენტირებული პოზიციით სკოლამ წარმოადგინა შემდეგი მტკიცებულებები:

- წერილი (MES 5 25 0000815630) შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმების შეთანხმების შესახებ
- წერილი (MES 3 25 0000557987) ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, სკოლის შენობების ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვების შესახებ.
- მიმართვის წერილი (MES 8 25 0000907802) შსს სს-დ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, სკოლის სამივე მისართზე არსებული შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვების მიზნით
- საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ცნობები
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურკულუმები (მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-8 და მე-9 კლასები)

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ-ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის მისია და ხედვა დეკლარირებულია სსიპ-ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმით. სკოლის მისია და ხედვა დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ (ოქმი-1) ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად.

სკოლის მისია და ხედვა ჟღერს შემდეგნაირად:

მისია-საინტერესო, ხალისიან, მშვიდ მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთპატივისცემის გარემოში აღმოაჩინოს თითოეულ მოსწავლეში განსაკუთრებული უნარები, გააღვიძოს მათში შემოქმედებითი აზროვნება და აღზარდოს ქვეყნის წარმატებისთვის მებრძოლი ლიდერი, პატრიოტი, კანონმორჩილი, ტოლერანტი, ფიზიკურად ძლიერი და სულიერად მტკიცე.

ხედვა-სკოლის ყველა თანამშრომელი ზრუნავს ბავშვის გონებრივ, ფიზიკურ, ემოციურ, სულიერ განვითარებაზე. მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან ღირებული სასწავლო გამოცდილებით, სწავლება/სწავლის ინოვაციური მეთოდებით, აქვთ საკუთარი განვითარების ინდივიდუალური გზა.

სკოლა მიმართულია თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების პოტენციალის და განსაკუთრებული ნიჭის გამოვლენას და მაქსიმალურად განვითარებაზე.

წარმოდგენილი მისიით, სკოლა იღებს ვალდებულებას პოზიტიურ და ურთიერთთანამშრომლობით გარემოში აღზარდოს

პატრიოტი, კანონმორჩილი, ტოლერანტი, ფიზიკურად ძლიერი და სულიერად მტკიცე ქვეყნის წარმატებისთვის მებრძოლი

ლიდერი. ხოლო ხედვით განსაზღვრულია მისიის მიღწევის გზა. კერძოდ, აქცენტია გაკეთებული სწავლება/სწავლის ინოვაციური მეთოდებზე და მოსწავლის ინდივიდუალურ მიდგომებზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ წარმოდგენილი ხედვა აღწერს სკოლაში არსებულ სიტუაციას და ნაკლებად გვიჩვენებს ზუსტ ორიენტირს სტრატეგიული გეგმის

განსაზღვრისათვის. კერძოდ, დროის პერიოდის თუ რამდენ ხანში აპირებს ორგანიზაცია ხედვაში გაცხადებული სასურველი მდგომარეობის მიღწევას, განვითარების მიმართულებას და წარმატების გაზომვადობას.

რჩევა: სასურველი, დაწესებულებამ ხედვის ფორმირებისას გაითვალისწინოს ხედვის არსებითი მახასიათებლები. კერძოდ, ხედვა არის მოკლე განაცხადი, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციის განვითარების საშუალო ვადიან ან გრძელვადიან მიზნებს. ხედვაში ასახული უნდა იყოს სკოლის მისწრაფებები ანუ როგორ ხედავს სკოლა საკუთარ თავს დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ.

1.1.1.1 ინდიკატორი მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

სასკოლო საზოგადოების მთავარი პრიორიტეტი გაცხადებულია სკოლის მისიით და ხედვით. კერძოდ, საინტერესო, ხალისიან, მშვიდ მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთპატივისცემის გარემოში, აღმოაჩინოს თითოეულ მოსწავლეში განსაკუთრებული უნარები. სკოლა მიმართულია თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების, პოტენციალის და განსაკუთრებული ნიჭის გამოვლენასა და მაქსიმალურად განვითარებაზე. სკოლის ყველა თანამშრომელი ზრუნავს ბავშვის გონებრივ, ფიზიკურ, ემოციურ, სულიერ განვითარებაზე. სკოლის მისიის და ხედვისა ტექსტების შინაარსები ორიენტირებულია პოზიტიური ცვლილებებისადმი მიდრეკილი პიროვნების ჩამოყალიბებაზე, რასაც ხელის შეუწყობს სკოლაში დამკვიდრებული ორგანიზაციული კულტურა გამჭირვალეობა, მიუკერძოებლობა, თანამშრომლობა და ობიექტურობა. ადგილზე ვიზიტის დროს სასკოლო გარემოს დათვალიერებით ნათლად ჩანს, მისიაში გაწერილი სახალისო და ხალისიანი აქტივობების არსი. კერძოდ, მოსწავლეების მიერ მოხატული სკოლის შიდა სივრცე, გამოფენილი სხვადასხვა თემატიკის პროექტები, მოსწავლეების და მასწავლებლების სხვადასხვა ღონისძიებებში თუ პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები.

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრება, წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ადგილზე ვიზიტის ფარგლებში გარემოებათა შესწავლის შედეგები ადასტურებს, რომ სკოლის მუშაობა მიმართულია, სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურულ სივრცის ჩამოყალიბებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე **1.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა განსაზღვრულია სსიპ -ქედის

მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის დირექტორის ბრ.N 01-03/13-ით დამტკიცებული სსიპ -ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით. კერძოდ, დაგეგმვის მეთოდოლოგიის მე-8 მუხლით განსაზღვრულია მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების ეტაპები. მეთოდოლოგის თანახმად სკოლის ფილოსოფიის და სტრატეგიული გეგმის შემუშავებას უზრუნველყოფს სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. მეთოდოლოგიის შესაბამისად, წარმოადგინილია დირექტორის ბრ.N01-03/12 სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. ჯგუფის შემადგენლობა წარმომადგენლობითია და მასში გაერთიანებულია როგორც სკოლის დირექციის წარმომადგენლები, ასევე მშობელი, მოსწავლე და მასწავლებელი. სკოლის ფილოსოფიასთან დაკავშირებით, ჩატარდა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა, კვლევის შედეგების გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტი, რომელიც წარედგინა სკოლის დირექტორს და სამეურვეო საბჭოს განსახილველად და შესათანხმებლად. შეთანხმებული დოკუმენტი დამტკიცდა პედაგოგიური საბჭო მიერ 2024 წლის 30 აგვისტოს პედაგოგიური საბჭოს N1 სხდომის ოქმით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანებით, სკოლის ფილოსოფიის და სტრატეგიული მეთოდოლოგიით, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ინსტრუმენტით (კითხვარი), დასტურდება სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. აღნიშნულიდან გამომდინარე

1.1.1.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მე-12 მუხლი ითვალისწინებს გაზიარების მექანიზმებს. სკოლის ფილოსოფიის გაზიარების მექანიზმებია: ელექტრონული ფოსტა ან/და ღია შეხვედრა და საჯარო განხილვა ან/და პედსაბჭოს სხდომა ან/და სამეურვეო საბჭოს სხდომა. როგორც აღვნიშნეთ სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოების ყველა მხარე, წარმომდგენლობითი სამუშაო ჯგუფის შექმნით. მიღებული მისია, ხედვა და ღირებულებების პროექტი გაზიარდა დირექტორთან და სამეურვეო საბჭოსთან (ოქმი-1), შემდეგ კი საბოლოო სახით დამტკიცდა პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე (ოქმი-1) საბოლოო სახით ფორმირებული სკოლის ფილოსოფია გახდა სკოლის სტრატეგიული გეგმასა და სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი. აღნიშნულიდან გამომდინერე

1.1.1.4. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლის ფილოსოფიის საჯაროობის უზრუნველყოფის საშუალებებია სკოლის საინფორმაციო დაფაზე, სოციალური ქსელის გვერდსა და სკოლის ვებ გვერდზე განთავსება. სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებული და დამტკიცებული მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე/სტენდზე, სკოლის სოციალურ ფქელში და სკოლის ვებ გვერდზე.

აღნიშნულიდან გამომდინერე 1.1.1.5. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მის საქმიანობასა და კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სკოლის წესდების" მიხედვით, სკოლის სახელწოდება, სსიპ-ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლა, სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობას.

აღნიშნულიდან გამომდინერე 1.1.1.6. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ -ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის დირექტორის ბრ.N 01-03/13-ით დამტკიცებული
  სსიპ -ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- 2024 წლის 30 აგვისტოს პედაგოგიური საბჭოს N 1 სხდომის ოქმი.
- სსიპ -ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის დირექტორის ბრ.N01-03/12, სკოლის ფილოსოფიისა
  (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 1
- კითხვარის ფორმა

- სკოლის ვებ-გვერდი
- სკოლის ფეისბუკგვერდი
- ამონაწერები საჯარო რეესტრიდან
- საგადასახადო აღრიცხვის რეგისტრაციის მოწმობა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის დირექტორის ბრ.N 01-03/13-ით დამტკიცებულია სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები. კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებს, პროცესში ჩართულ მხარეებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების პროცესს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. თავის მხრივ, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს სკოლის მისიის ხედვის და

ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებას სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. ფილოსოფიის და სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის ბრძანებით განსაზღვრულმა პირებმა უზრუნველყვეს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება. გეგმების შემუშავებამდე სკოლაში სპეციალური კითხვარების შევსებით მოხდა საჭიროებების გამოვლენა, ჯგუფმა გამოიკვლია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და უზრუნველყო პროცესში დაინტერესებული პირების ჩართულობა. კითხვარების ანალიზისა და SWOT ანალიზის საფუძველზე განხორციელდა სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა, ხოლო სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით - ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება. სკოლის განვითარების სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის პროექტები წარედგინა სკოლის დირექტორს, რომელმაც უზრუნველყო აღნიშნულის სასკოლო საზოგადოებისათვის (პედაგოგიური საბჭოსთვის) გაცნობა, განხილვა და უკუკავშირის შეგროვება, რომლის საფუძველზეც მოხდა გეგმების საბოლოო სახით ჩამოყალიბება და დასამტკიცებლად სამეურვეო საბჭოსთვის წარდგენა . **აღნიშნულიდან გამომდინარე 1.2.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლამ წარმოადგინა, ფილოსოფიის და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული (ოქმი-2; 9/09/2024), სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის შვიდწლიანი (2024-2031) განვითარების სტრატეგიული გეგმა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიული გეგმა ასევე დაამტკიცა სკოლის დირექტორმაც, რისი საჭიროებაც არ იყო. სტრატეგიული გეგმა შემუშავდება ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ, რაც უზრუნველყოფს მის ციკლურობას. საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების გადახედვა და ცვლილების შეტანა სტრატეგიული განვითარების გეგმაში. სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს: შესავალ ნაწილს, სკოლის ფილოსოფიას, სკოლის მიზნებს , გარემოს სიტუაციური **SWOT** ანალიზსს და სტრატეგიულ მიმართულებებს. სტრატეგიული გეგმა განსაზღვრავს 7 სტრატეგიულ მიმართულებას: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; ადამიანური რესურსის განვითარება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;სასკოლო საზოგადოების ჩართულობა; მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება; ორგანიზაციული განვითარება. თითოეული მიმართულების ფარგლებში, განსაზღვრულია ამოცანები. სტრატეგიული გეგმის შესწავლით დადგინდა, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები ეფუძნება დაწესებულების მიერ დეკლარირებულ სკოლის ფილოსოფიას, განსაზღვრული ამოცანები მიზნების შესაბამისი. გეგმა არის შვიდწლიანი და ციკლური.

რჩევა: სასურველია, მეთოდოლოგიის შესაბამისად, ერთი სტრუქტურული ორგანოს მიერ დამტკიცებული მარეგულირებელი დოკუმენტი, აღნიშნულ შემთხვევაში სტრატეგიული გეგმა, აღარ დაამტკიცოს კიდევ სხვა სტრუქტურამ.

აღნიშნულიდან გამოდინარე 1.2.1.2 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული გეგმიდან და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებიდან გამომდინარე იქმნება სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა დგება ერთწლიანი პერიოდისათვის და ის ემთხვევა სასწავლო წელს. სამოქმედო გეგმის მიზანია ხელი შეუწყოს სტრატეგიულ გეგმაში დეკლარირებული მიზნების განხორციელებას. სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს (ოქმი-2) მიერ დამტკიცებული 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული გეგმიდან. სკოლის სამოქმედო გეგმაში, გათვალისწინებულია სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული 7 სტრატეგიული მიზანი და ამოცანები. აღნიშნულიდან გამომდინარე **1.2.1.3 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სამეურვეო საბჭოს N2 ოქმით დამტკიცებული 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს, მიზნების შესაბამის ამოცანებს და აქტივობებს, პასუხისმგებელ პირებს, აქტივობების შესრულების ვადებს, შესრულების ინდიკატორებს და რესურსებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამოქმედო გეგმის შესრულების ინდიკატორებს მტკიცებულების ფორმა აქვს. კერძოდ, ოქმები, ანგარიშები, ფოტო მასალა და სხვა. ასევე რესურსების ნაწილშიც არ არის დაზუსტებული კონკრეტული აქტივობების განხორციელება რომელი რესურსითაა უზრუნველყოფილი: ადამიანურით, ფინანსურით თუ მატერიალურით.

რჩევა: სასურველია სკოლამ უზრუნველყოს რესურსების ნაწილის გამჭირვალეობა. კერძოდ, დაზუსტდეს კონკრეტული აქტივობების განხორციელება რომელი რესურსითაა შესაძლებელი: ადამიანური, ფინანსური თუ მატერიალურით. ასევე ინდიკატორი აჩვენებდეს თუ როგორი შედეგი უნდა დადგეს იმისთვის, რომ სტრატეგიული გეგმის კონკრეტული ამოცანა ჩაითვალის შესრულებულად. შეეცადეთ, ინდიკატორი იყოს ხარისხობრივად ან რაოდენობრივად გაზომვადი.

1.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის დირექტორის ბრ.N 01-03/13-ით დამტკიცებულია სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- სამეურვეო საბჭოს N 2 ოქმით დამტკიცებული სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის შვიდწლიანი (2024-2031) განვითარების სტრატეგიული გეგმა.
- სამეურვეო საბჭოს N 2 ოქმით დამტკიცებული სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.
- სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის დირექტორის ბრ.N01-03/12, სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.
- 2024 წლის 19 სექტემბრის სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N2

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

   სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის დირექტორის ბრ.N 01-03/13-ით დამტკიცებული სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია განსაზღვრავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების მექანიზმებს.წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, მონიტორინგის მიზანია, დაადგინოს დაგეგმილი აქტივობებიდან რა შესრულდა და რა - არა. ამ ნაწილში ხდება შინაარსობრივი ანალიზი, იდენტიფიცირდება შესრულებული და შეუსრულებელი აქტივობები. მონიტორინგის მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია, თუ როგორ ხდება მონიტორინგი და ვინ არის ამ პროცესზე პასუხისმგებელი; რა ინტენსივობით განხორციელდება მონიტორინგი; როგორ განხორციელდება მონიტორინგი. თუ როგორ ხდება მონიტორინგის შედეგების შეფასება. განსაზღვრულია სამოქმედო გეგმის/სტრატეგიული გეგმის ანგარიშის დოკუმენტირების ფორმა და გასაჯაროების მექანიზმები, სკოლის ვებ/გვერდზე გამოქვეყნებით. აღნიშნულიდან გამომდინარე 1.2.2.1 **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

სკოლის ფილოსოფიის და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. კერძოდ, სტარტეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს სამეურვეო საბჭო. მონიტორინგისთვის სკოლა გამოიყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით თითოეული სტრატეგიული მიმართულების/ამოცანის/აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით კეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი. სამეურვეო საბჭოს სხდომაზე შესაბამისი პირების ჩართულობით თითოეულ აქტივობას ენიჭება სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის ანგარიშები, განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება.

ადგილზე ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების მასალები, რომელიც განხორციელდა მეთოდოლოგიის შესაბამისად. კერძოდ, წარმოდგენილია სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგი და სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმიN8, სადაც მეთოდოლოგიის შესაბამისად დეტალურადაა აღწერილი მონიტორინგის პროცესი და სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილება/შეფასება, ასევე სამეურვეო საბჭოს მიერ გაცემულია რეკომენდაციები, რომლებიც სკოლამ ახალი სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად უნდა გაითვალისწინოს. რაც შეეხება სტრატეგიული განვითარების გეგმას, მეთოდოლოგიის გათვალისწინებით მონიტორინგი და შეფასების პროცესი ჯერ არ დამდგარა. აღნიშნულიდან გამომდინარე **1.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სკოლის ფილოსოფიის და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის და შეფასების შედეგების გასაჯაროების მექანიზმების. კერძოდ, სკოლის ვებ/გვერდზე გამოქვეყნებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგის დრო ჯერ არ დამდგარა, რაც შეეხება სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშსს გამოქმეყვენულია სკოლის ვებგვერდზე. აღნიშნულიდან გამომდინარე **1.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სკოლის ფილოსოფიის და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, სკოლა შეადგენს SWOT ანალიზს, რომლის მეშვეობითაც მოხდება სკოლის შესაძლებლობებისა და მომავალი განვითარების პერსპექტივების გამოვლენა. ასევე, ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო გარემოებების შესწავლა. SWOT ანალიზის საფუძველზე განხორციელდება მომდევნო სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება. წარმოდგენილი მეთოდოლოგიით სკოლა იღებს ვალდებულებას სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს გამოიყენებს დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე **1.2.2.4 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ -ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის დირექტორის ბრ.N 01-03/13-ით დამტკიცებულია სსიპ -ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- სამეურვეო საბჭოს N 2 ოქმით დამტკიცებული სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის შვიდწლიანი (2024-2031) განვითარების სტრატეგიული გეგმა.
- სამეურვეო საბჭოს N 2 ოქმით დამტკიცებული სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა
- სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგი
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმიN8

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

   სსიპ-ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 13 სექტემბერს ბრ. N01-03/39-ით დამტკიცებულია სკოლაში დასაქმებულ პირთა ფუნქციები, ხოლო სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები წარმოდგენილია შესაბამისი დებულებების სახით. სკოლას მომზადებული აქვს საკუთარი ორგანიზაციული მოწყობის გრაფიკული სქემა-ორგანოგრამა, რომელიც გამოხატავს დასაქმებულ პირთა ანგარიშვალდებულების სისტემას, რაც ასევე გაწერილია დასაქმებულ პირთა ფუნქციებში. პოზიციაზე დასაქმებულ პირთა რაოდენობა დაზუსტებულია სკოლის საშტატო განრიგით.

   სკოლას ჰყავს შემდეგი ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, 29 მასწავლებელი. ხოლო სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულია: სკოლის ექთანი, დარაჯი-2, დამლაგებელი-2, ცეცხლფარეში-1, ასევე განსაზღვრული ფსიქოლოგის შტატი, თუმცა ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი და გამოცხადებული კონკურსი. სკოლის პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობებს. დასაქმებულ პირებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ თავიანთი ფუნქციები და მოვალეობები. აღნიშნულიდან გამომდინარე **3.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

   დასაქმებულ პირთა ფუნქციების აღმწერი დოკუმენტით და გრაფიკული სახით წარმოდგენილი სკოლის სტრუქტურიდან ნათლად ჩანს, რომ სკოლაში მოქმედებს ანგარიშვალდებულების სისტემა, განსაზღვრულია, ვინ ვის ექვემდებარება და ვის წინაშეა უშუალოდ ანგარიშვალდებული. დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების ხარისხიბრივი

მაჩვენებლის გავლენა საგანმანათლებლო საქმიანობაზე, შეიძლება დადგინდეს სტრუქტურული ერთეულების/პირების მუშაობის შეფასებით. ამ მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს ,,ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა", სადაც იდენტიფიცირებულ პროცესებს შორის არის ,,ადამიანური რესურსების მართვა".

სკოლაში ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელ პირი, დირექტორის მოადგილე, ,,ადამიანური რესურსების მართვის" პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად განახორციელებს დასაქმებული პირების შეფასებას შესრულებული სამუშაოს ხარისხის მიხედვით. გასცემს რეკომენდაციებს, პროცესის განხორციელების პრაქტიკის გაუმჯობესებისთვის, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის ამაღლებას. სკოლაში არსებული ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი თავის მხრივ ახორციელებს მასწავლებლის საქმიანობის შიდა შეფასებას. სკოლის სამოქმედო გეგმებში გაწერილი კონკრეტული მიზნების, ამოცანების და აქტივობების შესრულებისათვის განსაზღვრული პასუხისმგებელი სტრუქტურები/პირები და დაკისრებული ფუნქციები მათი პოზიციების შესაბამისია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის სტრუქტურა, საშტატო განრიგი, დასაქმებულ პირთა მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქციები, ხარისხის უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, სკოლის სამოქმედო გეგმა და დასაქმებულთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, იძლევა საშუალებას დავადგინოთ, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. **3.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებული**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 13 სექტემბერს ბრ. N01-03/39-ით დამტკიცებულია სკოლაში დასაქმებულ პირთა ფუნქციები.
- სკოლის ორგანოგრამა
- საშტატო განრიგი
- 20204-2025 სასწავლო წლის სკოლის სამოქმედო გეგმა
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 13 სექტემბრის ბრძანება N 01-03/30 ,,ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა" დამტკიცების შესახებ
- სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N01-03/17 ,, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება" დამტკიცების შესახებ
- გაფორმებული ხელშეკრულებები

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნებს, ამოცანებს, ღირებულებებს, ადამიანური რესურსების მართვის ციკლს და მართვის სტრატეგიებს, სამუშაო აღწერილობების შემუშავებას, კვალიფიციური კადრების მოზიდვა/შერჩევის, განვითარების, კარიერული წინსვლის, სამუშაო ადგილზე სოციალიზაციისა წესებს და პირობებს, ასევე განსაზღვრავს შესრულებული სამუშაოს შეფასების პრინციპებს, მეთოდებს და ეტაპებს. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. კერძოდ, დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების დროს გათვალისწინებულია საქართველოს შრომის კოდექსი. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებაში ჩარჩენილია ძალადაკარგული საკონონმდებლო აქტით. კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის N126/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების“ დამტკიცების შესახებ, რომელიც გვხვდება მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულების მე-6 მუხლში- ,,შრომითი ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი“ . სკოლის პედაგოგების შერჩევის მიზნით ვაკანსიის გამოცხადება ხდება, ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება ხორციელდება მოქმედი ,,მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის“ მიხედვით. პერსონალის მართვის გარკვეული წესები და პირობები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, რომელიც განსაზღვრავს შრომითი ურთიერთობის ნორმებსა და წესებს. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს პერსონალთა გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილის, რომელზეც ხელმოწერით დასტურდება დასაქმებულის მიერ შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანური რესურსების პოლიტიკის დოკუმენტი მხოლოდ მასწავლებლის მოზიდვი პროცედურებს განსაზღვრავს და არა ფერია ნათქვამი, როგორ ხდება სხვა ადმინისტრაციული თუ ტექნიკური პერსონალის მოზიდვა, თუმცა გასაუბრების დროს სკოლამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული და ტექნიკური პესონალის სამუშაოზე აყვანა შეიძლება განხორციელდეს დირექტორთა გასაუბრებით ბრძანების საფუძველზე.სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით, სკოლის შინაგანაწესით და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით დასტურდება, რომ სკოლას დადგენილი აქვს ადამიანური რესურსების მართვის წესები და პირობები. წარმოდეგნილ დოკუმენტებით სკოლა აცხადებს მზაობას ადამიანური რესურსების მართვის პროცესი განხორციელდეს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისად. **სასურველია მასწავლებლთან გაფორმებულ შრომით ხელშკრულებაში ძალადაკარგული საკანონმდებლო აქტი ჩანაცვლდეს**

მოქმედით საკანონმდებლო აქტით. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით, მასწავლებლეთან ერთად განისაზღვროს სხვა პერსონალის ვაკანტურ პოზიციაზე მიღების პროცედურები.

ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

2.სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული ღონისძიებების გატარებას. კერძოდ, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია სკოლაში დასაქმებული პირების საქმიანობის შეფასება, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე კი დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს დირექცია გაანალიზებს მომავალი სასწავლო წლისთვის რა პოზიციაზე შეიძლება დასჭირდეს კადრების შერჩევა და წინასწარ აცხადებს კონკურსს. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია, სამუშაო ადგილზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი, სადაც გაწერილია სამსახურში არ გამოცხადების შემთხვევაში შეტყობინების ვადები. აღნიშნული რეგულაციით სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებისთვის მყისიერი ზომების მიღებას.

ინდიკატორი 3.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

3.პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, დაწესებულებაში თანამშრომელთა შერჩევა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემდეგ პრინციპებზე დაყრდნობით: **ობიექტურობა** – შერჩევის პროცედურები არის არადისკრიმინაციული და მაქსიმალურად გამორიცხავს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. **გამჭვირვალობა** – გამოყენებული პროცედურები, მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები არის ნათლად ფორმულირებული, გასაგები და აღქმადი ყველა დაინტერესებული პირისათვის. სკოლა ვაკანტური პოზიციის განაცხადს ქმნის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტზე დაყრდნობით, შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით და კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს შერჩევის ეტაპებისგანხორციელებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით დგინდება, რომ პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვა და დასაქმება ხდება ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. კერძოდ, სკოლა დასაქმების მიზნით საკონკურსო განაცხადს აქვეყნებს მასწავლებლის დასაქმების პორტალზე https://teacherjobs.ge/. გამოსცემს ბრძანება კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო ვადების შესახებ. დირექტორის ბრძანებით ქმნის საკონკურსო და საპრეტენზიო კომისიებს. კომისიის შემადგენლობა განსაზღვრულია ,,ზოგადი განათლების“ კანონისა და „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. კომისიის შემადგენლობაშია: დამოუკიდებელი მოწვეული სპეციალისტი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტის წარმომადგენელი,

სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი, სსიპ – მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი და მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წარმომადგენელი. ადგილზე ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა საკონკურსო მასალები. კერძოდ, სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლაში ვაკანტური საათების შესავსებად ღია კონკურსის გამოცხადების, კანდიდატთა განაცხადების მიღების ვადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ სკოლის დირექტორის 5 სექტემბრის ბრძანება N01-03/, კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანებები დაწყებითი განათლებისა (MES 5 23 0001787868) და ფიზიკურიკაღზრდის და სპორტის (MES 8 23 0001787870). კონკურსის სხდომის ოქმებიN1(დაწყებით), კონკურსის ჩაშლის სხდომის ოქმი N2 (ფიზიკური აღზრდა და სპორტი).

დასკვნის პროექტში აღწერილი იყო, რომ ახალ თანამშრომელზე სკოლა ხსნის პირად საქმეს, სადაც განთავსებულია ავტობიოგრაფია, გაფორმებული ხელშეკრულებები, განათლების, კვალიფიკაციის და პროფესიული განვითარების დამადასტურებელ დოკუმენტაცია. ნასამართლეობის და ნარკოლოგიური ცნობები. სკოლის არც ერთ მარეგულირებელ დოკუმენტში არ იკითხება პერსონალის აყვანის შემთხვევაში წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა. რაც შეეხება კანონმდებლობით გათვალისწინებულ სავალდებულო ცნობებს: „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ -განთავსებულია 2020 წლის შემდეგ დასაქმებულ პირებთან, ხოლო ,,უფლების ჩამორთმევის“ ცნობები არ არის წარმოდეგნილი. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოადგინა 2020 წელის შემდეგ დასაქმებული პირებისთვის ,,უფლების ჩამორთმევის“ ცნობები.

აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორი 3.1.2.3 დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: სასურველია სკოლამ შინაგანაწესით ან ადამინური რესურსების მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვროს პერსონალის პირადი საქმეებში განსათავსებელი დოკუმენტაციის ნუსხა.

4.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

eSchool ბაზა მონაცემებით, სკოლაში დასაქმებულია 36 თანამშრომელი, მათ შორის 29 მასწავლებელია, აქედან 20 უფროსი, 2 წამყვანი და ერთი უფროსი სპეც. მასწავლებელია. 6 მასწავლებლს არა აქვს სტატუსი, თუმცა განათლებით არიან იმ საგნის სპეციალისტები რასაც ასწავლიან და აქვს პროფესიული განვითარების მიმართული გავლილი სხვადასხვა მიმართულების ტრეინინგები. ექვსივე მათგანი დარეგისტრირებულია საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელ გამოცდებზე.

სკოლის ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალისთვის სკოლას დადგენილი აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები და დასაქმებული ჰყავს კვალიფიკაციის შესაბამისი კადრი. დასაქმებულთა პირადი საქმეები მოიცავს მათი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს.

დასკვნის პროექტში აღწერილი იყო, რომ პერსონალის პირადი საქმეებისა და eSchool ბაზის მონაცემების შესწავლით სკოლაში დასაქმებულ 6 მასწავლებლს არა აქვს მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით

განსაზღვრული სტატუსი და შესაბამისად ვერ აკმაყოფილებენ ,,ზოგადი განათლების კანონით" განსაზღვრულ მასწავლებლის განათლებისთვის დადგენილ მოთხოვნებს. ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით სკოლამ წარმოდეგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია ხარვეზის აღმოფხვრის აქტივობები (1.შიდა და გარე კონკურსის გამოცხადება. გარე კონკურსის შემთხვევაში ვაკანსიის განთავსება მასწავლებლის დასაქმების პორტალზე https://teacherjobs.ge/ 2.კონკურსის ჩატარება 3.კვალიფიციური მასწავლებლის აყვანა და შესაბამისი სტატუსი შრომითი ხელშეკრულების გაფორმება), **პერიოდი** (2025 წლის ივლისი-2026 წლის ივლისი) **, ადამინური რესურსებით უზრუნველყოფა** (დირექტორი/საკონკურსო კომისია), **სხვა ჩართული მხარეები** (სსიპ ქედის საგანმანათლებლო რესურსცენტრი) **, შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკი** (5%) **. ასევე შენიშვნების გრაფაში მოცემულია მასწავლებლის ვაკანსიის ვებგვერზე განთავსებული ვაკანსიების ლინკები. რამდენადაც ხარვეზის გასწორების პერიოდი მოიცავს 12 თვეს.**

ინდიკატორი 3.1.2.4. მეტწილად დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2025 წლის ივლისი-2026 წლის ივლისი) სკოლამ უზრუნველყოს მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული სტატუსი მქონე პედაგოგების დასაქმება.

5.პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზანია შექმნას გარემო, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ წარმოჩენასა და რეალიზებას. სკოლა, საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისთვის ქმნის სამუშაო ჯგუფებს, საბჭოებს, რომელთა ფუნქციები სკოლის მართვაში მონაწილეობა და გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღებაა.

კათედრების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კათედრების მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. კათედრის თითოეული წევრი ჩართული იყო კურიკულუმების შემუშავების პროცესში. ხდებოდა გამოცდილების გაზიარება, ერთად იგეგმება სასკოლო პროექტები. აქტიურია კათედრებს შორის თანამშრომლობა, რასაც მოწმობს განხორციელებული პროექტები. დირექტორმა აღნიშნა, რომ თავისი კოპეტენციის ფარგლებში სკოლის თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართული თვითშეფასების კითხვარის შემუშავებაში, სტარტეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და შეფასებაში, რაც დასტურდება დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფით და შესაბამისი სხდომის ოქმებით. სკოლაში, საზიარო სივრცეების არსებობა (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი) ხელს უწყობს თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის გარემოს შექმნას.

ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. სკოლის საკადრო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია დასაქმებული პირების საქმიანობის შეფასება, მოტივაციის ამაღლება. შეფასება შესაძლებელია გახდეს თანამშრომელთა წახალისების საფუძველი. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია წახალისების სახეები და გამოყენების წესი. კათედრის დებულებით განსაზღვრულია კათედრის ფუნქციები, მათ შორის არის კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანი იყო წარმატებული პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება პედაგოგთა შორის. ინტერვიუსა და კათედრის ოქმის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების პრაქტიკა.

ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს N2 ოქმით დამტკიცებული ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“
- სკოლის შინაგანაწესი
- სსიპ-ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის 2024 წლის 11 სექტემბრის ბრ. N01-03/21-ით დამტკიცებული ,,დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები“
- განათლების მართვის სისტემის მონაცემთა ბაზა;
- სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლაში ვაკანტური საათების შესავსებად ღია კონკურსის გამოცხადების, კანდიდატთა განაცხადების მიღების ვადებისა და პირობების განსაზღვრის შესახ სკოლის დირექტორის 5 სექტემბრის ბრძანება N01-03
- საკონკურსო კომისიის შექმნის ბრძანებები დაწყებითი განათლებისა (MES 5 23 0001787868) და ფიზიკურიკაღზრდის და სპორტის (MES 8 23 0001787870)
- კონკურსის სხდომის ოქმებიN1(დაწყებით),
- კონკურსის ჩაშლის სხდომის ოქმი N2 (ფიზიკური აღზრდა და სპორტი).
- პერსონალის პირადი საქმეები
- პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები
- მასწავლებელთა გამოცდაზე რეგისტრაციის ბარათები
- კათედრის დებულება
- კათედრის ოქმები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები

სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი არეგულირებს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმებს. კერძოდ, პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, დაწესებულებაში სისტემატურად ხდება პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება,რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება გეგმავსდა ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს შეფასების სისტემის პრინციპებს და მეთოდებს. პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელებისას სკოლა თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით.

სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ 7 მიზანს შორის ერთ-ერთია ადამიანური რესურსების განვითარება. ამოცანებს შორის გვხვდება ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება. აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში გაწერილია შესაბამისი მიზნობრივი აქტივობები: თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების კვლევა, თანამშრომელთა განვითარებისთვის საჭირო ტრენინგების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა. ერთწლიანი გეგმის შესრულების შედეგებიდან ჩანს, რომ სკოლამ ნაწილობრივ შეასრულა დაგეგმილი აქტივობები. სკოლის დირექტორის განმარტებით, მომავალი წლის სამოქმედო გეგმაში კვლავ გათვალიწინებული იქნება პროფესიული ხელშეწყობის ღონისძიებები. სკოლაში მასწავლებელთა საქმიანობის შეფასებას განახორციელებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულებით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ადამიანური რესურსების მართვის წესით, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის მართვის ჯგუფის დებულებით, სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებით, სკოლას განსაზღვრული აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.

ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

სკოლის სტრატეგიული და 2024-2025 წლისსამოქმედო გეგმები მოიცავს პერსონალის განვითარებისთვის საჭირო ამოცანებს და აქტივობებს. სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგებიდან ჩანს, რომ თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების კვლევა სკოლამ ნაწილობრივ შეასრულა. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებებზეა საუბარი სამეურვეო საბჭოს N8 სდომის ოქმშიც, სადაც 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის საკითხებია განხილული. თანამშრომელთა პირადი საქმეების შესწავლით ჩანს, რომ პროფესიული განვითარების მხრივ, პედაგოგებს გავლილი აქვთ სხვადსხვა მიზნობრივი აქტივობები. მასწავლებლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები: „შებრუნებული საკლასო ოთახი“, „ელექტრონული სწავლება“, „მატემატიკა დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისთვის“, „სასწავლო პროცესის დაგეგმვა და სწვლის ეფექტური სტრატეგიები“, „ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება-ინკლუზიური განათლების პრინციპების დაცვით“, ,,პროექტებით სწავლება და ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოფიების ინტეგრირება“, ,,სწავლებისა და სწავლის თეორიები და მათი გამოყენება მოსწავლეთა სწავლის მოტივაციისათვის“, USAID- საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებსი გავლილი აქვს 12 საათიანი ტრენინგი „ ქოუჩინგი მცირე ჯგუფებში საკლასო გარემის, სასწავლო აქტივობებისა და რესურსების, განმავითარებელი შეფასების, დიფერენცირებული სწავლების და მასწავლებელთა გუნდური მუშაობის საკითხებზე.“ პროფესიული საჭიროების მიმართულებით ასევე გადამზადდა სკოლის ბუღალტერი.

აღნიშნულიდან გამოდინარე **ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია**

3.სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებისა და კარიერული წინსვლის მექანიზმებს. მასწავლებლის კარიერულ წინსვლას არეგულირებს ,,მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა”. სკოლაში არსებული მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი ეხმარება მასწავლებლებს პროფესიულ ზრდაში. კერძოდ, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების შემდეგ ჯგუფის წევრები მასწავლებელთან ერთად განიხილავენ დაკვირვების შედეგებს და აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს. ადამიანური რესურსების პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ კარიერული წინსვლა ნებაყოფლობითია და დამოკიდებულია კონკრეტული მასწავლებლის

სურვილზე. სკოლაში დასაქმებულია წამყვანი და უფროსი მასწავლებლები, რომელბმაც სტატუსი აღნიშნულ სკოლაში მუშაობის დროს აიმაღლეს. ამჟამად 6 პედაგოგი დარეგისტრირებულია კომპეტანციის დამადასტურებელ გამოცდაზე. ადამიანური რესურსების მართვის წესით და მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფის დებულებით განსაზღვრული რეგულაციები გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ, რომ სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას.

ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4.სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ადამიანაური რესურსების მართვის წესის მე-18 მუხლი განსაზღვრავს ახალი თანამშრომლის სოციალიზაციის მექანიზმებს. კერძოდ განსაზღვრულია ადაპტაციის ეტაპები და სოციალიზაციის პროცედურები. იმისათვის, რომ სწრაფად მოხდეს ახალი თანამშრომლის ადაპტაცია, სკოლა ეხმარება მათ, გაეცნონ დამკვიდრებულ წესებს და ტრადიციებს. პირველ შეხვედრაზე ხდება თანამშრომლების გაცნობა, შინაგანაწესისა და სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობა მენტორი თანამშრომლის გამოყოფა, საადაპტაციო პერიოდის მიმდინარეობის განხილვა. ყველა პროცესისთვის განსაზღვრულია პასუხისმგებელი ერთეული ან პირი.

აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორი 3.2.1.4. დაკმაყოფილებულია**

5.წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია, რომ პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას აქვს მზაობა წაახალისოს პერსონალის ინიციატივები, მისი პროფესიული განვითარების მიმართულებით.

ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს N2 ოქმით დამტკიცებული ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“
- სკოლის შინაგანაწესი
- სამეურვეო საბჭოს N 2 ოქმით დამტკიცებული სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის შვიდწლიანი (2024-2031) განვითარების სტრატეგიული გეგმა.

- სამეურვეო საბჭოს N 2 ოქმით დამტკიცებული სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.
- პერსონალი პირადი საქმეები
- სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგი
- სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N01-03/17-ით დამტკიცებული
  ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფის დებულება
- ურთიერთდასწრების მასალები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს (დირექტორის მოადგილე), ახდენს სკოლაში მიმდინარე პროცესების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის წესს. იდენტიფიცირებული პროცესების განხორციელება რეგულირდება შესაბამისი მეთოდოლოგიურიდოკუმენტებით, დებულებებით და წესებით, სადაც აღწერილია პროცესების და ქვეპროცესების განხორციელების ეტაპების მონაცვლეობა, რაც დამადასტურებელია იმისა, რომ სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება, ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის, **დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე,** პრინციპის დაცვით. აღნიშმულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი 3.3.1.1 დაკმაყოფილებულია.**

2.იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი გვაწვდის ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების შესახებ. პროცესები აღწერილია შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტებში. კერძოდ, სკოლის ძირითადი პროცესები: კურიკულუმის განვითარება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა აღწერილია სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგით, სკოლის შინაგანაწესით და სასკოლო სასწავლო გეგმით. ფილოსოფიის და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკით რეგულირდება სკოლის მმართველობითი პროცესები. ხოლო დამხმარე პროცესები: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით, ბიბლიოთეკის დებულებით, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობებით, მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის შესახებ დებულებით, საქმისწარმოების წესით და სხვა დოკუმენტებით. აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორი 3.3.1.2 დაკმაყოფილებულია**

3.სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლაში საჩივრის განხილვისთვის არსებობს დადგენილი წესი, რომელიც დამტკიცებულია სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის11 სექტემბერის N01-03/22 ბრძანებით. აღნიშნული წესი არეგულირებს

სკოლაში საჩივრის/განცხადების განხილვის პრინციპებს, განცხადების/საჩივრის წარდგენის წესს და ვადებს. საჩივრის განხილვის წესს დისციპლინური წარმოების დროს, მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრების მექანიზმებს. შიდა სასკოლო გამოცდის შედეგების გასაჩივრების პირობებს.

სკოლაში ფუნქციონირებს შესაბამისი ორგანოები, რომლებიც განიხილავენ საჩივრებს. კერძოდ, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს საპრეტენზიო კომისიის შექმნას, რაც მასწავლებლებს აძლევს საშუალება გაასაჩივრონ კონკურსისი შედეგები. გამოცდასთან დაკავშირებით წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის მიზნით, სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება საპრეტენზიო კომისია, დირექტორის/დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილება დისციპლინური სახდელის დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ

და სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი სახდელის დაკისრებასთან დაკავშირებით, საჩივრდება სკოლის სამეურვეო საბჭოში. დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებების განუყოფელი ნაწილია სადავო საკითხების გასაჩივრების შესაძლებლობა.

აღნიშნულიდან გამოდინარე სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა.

ინდიკატორი 3.3.1.3 დაკმაყოფილებულია

4.სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. კერძოდ, სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ - სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 13 სექტემბრის N01-03/34 ბრძანებით დამტკიცებულია „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი“.

სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების კანონიერი უფლებების დაცვა და ამ მიზნით შემუშავებულია შემდეგი მარეგულირებელი დოკუმენტები და ფუნქციონირებს სტრუქტურული ორგანოები: სკოლას აქვს შინაგანაწესი, სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის სამეურვეო საბჭო; სკოლას ჰყავს დისციპლინური კომიტეტი, სკოლის ექთანი, თითოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი, სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა. დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებებში დეტალურადაა გაწერილი მათი უფლება-მოვალეობები. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით დასტურდება ხელშეკრულების და შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის სივრცეში და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.3.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 11 სექტემბერი ბრძანებით N01-03/22 დამტკიცებული - განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი
- სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 13 სექტემბრის ბრძანებით N 01-03/30-ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა
- სკოლის შინაგანაწესი
- გაფორმებული ხელშეკრულებები

- სსიპ - სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 13 სექტემბრის N01-03/34 ბრძანებით დამტკიცებულია „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი“.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები

სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები. კერძოდ, სკოლის ვებგვერდზე გამოქვეყნებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ: სტრუქტურა, სტრატეგიული და სამოქედო გეგმები, სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, სკოლის შინაგანაწესი. მითითებულია სკოლის მისამართი, ელ. ფოსტა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობა, სწავლების ენა და საგანმანათლებლო სტატუსი. სკოლაში ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი. დამრიგებელი უშუალოდ კონტაქტშია მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთა. აწვდის ნებისმიერ ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებთ. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის ასევე გამოიყენება სოციალური ქსელი, რომლის საშუალებით გაზიარებულია სკოლაში მიმდინარე სიახლეები. Facebook გვერდის საშუალებით შესაძლებელია დაინტერესებულმა პირმა წერილი მიწეროს სკოლას და მიიღოს პასუხი.

განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი სოციალური ქსელების მართვაზე. სასკოლო საზოგადოებიდან მიღებული სურვილები და შენიშვნები გამოიყენება მართვის პროცესების გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია

2 უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სკოლის სტრუქტურის მიხედვით, სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობით და შესაბამისი დებულებებით. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართულობას სკოლის მართვაში.

ინდიკატორი 3.3.2.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა
- სკოლის ვებ-გვერდი
- სკოლის სოციალური ქსელი https://www.facebook.com/ssip.makhuntsetis.sajaro.sk.ola
- დამრიგებლის დებულება
- სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის დირექტორის მიერ 2024 წლის 13 სექტემბრის ბრძანებით N 01-03/29 დამტკიცებული-მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის შესახებ დებულება

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან

შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)

დასკვნის პროექტში აღნიშნული იყო, რომ სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლას **არ არის უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.** თუმცა სკოლაში შექმნილია საგანგებო შტაბი, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირი, ჩატარებულია ტრეინინგი სახანძრო უსაფრთხოების წესების გაცნობის შესახებ, რაც დასტურდება ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის აღიცხვის ჟურნალით. სამივე მისმართზე სკოლა აღჭურვილია სახანძრო ინვენტარით.

შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვების მიზნით, სკოლამ წარმოადგინა 13 და 25 მარტს გაგზავნილი მიმართვები (MES 9 25 0000352917; MES 3 25 0000274864) უფლებამოსილ უწყებასთან, თუმცა მიმართვის წერილი ეხება მხოლოდ სოფელი ზუნდაგა მე-3 ქუჩა, N2ა მისამართზე მდებარე ორსართულიანი შენობას. **რაც შეეხება მდგრადობის დასკვნას, ამ ეტაპზე არც ერთ მისამართზე განთავსებული შენობებისთვის არ არის გაცემული.** სკოლამ აღნიშნულის შესახებ 2025 წლის 22 მაისს წერილით მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის-სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს (MES 3 25 0000557987). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სოფელ ქვედა ბზუბზუს სკოლა, სადაც სასწავლო პროცესი ხორციელდება მხოლოდ დაწყებითი საფეხურის 1-4 კლასებში, განთავსებულია ერთსართულიან ხის შენობაში. სველი წერტილები არის სკოლის ეზოში. რამდენადაც სკოლა მაღალმთიან ზონაში მდებარეობს, დოდთოვლობის დროს ყოველ სეზონზე ზიანდება სკოლის ხის მოაჯირები და ეზოს ღობე, რაც თვალნათელი იყო ვიზიტის დროს. სკოლა თვლის, რომ აღნიშნული შენობა საჭიროებს სრულ რეაბილიტაცია, რაზეც წარმოადგინილია ქედის რესურსცენტრისადმი 2025 წლის 1 მაისს მიწერილი წერილი (MES 9 25 0000466902) სოფელ ქვედა ბზუბზუს სკოლის სრული რეაბილიტაციის საჭიროების შესახებ და ითხოვს შუამდგომლობას შესაბამის უწყებასთან.

სკოლას არ ჰყავს მანდატური, სოფელი ზუნდაგა მე-3 ქუჩა, N2ა მისამართზე მდებარე ორსართულიანი შენობა აღჭურვილია 8 ვიდეოსათვალთვალო კამერით, აქედან სამი კამერა გარე პერიმეტრზეა დამონტაჟებული და აკონტროლებს მთელ პერიმეტრს, ხოლო 5 კამერა სრულად ფარავს სკოლის შიდა სივრეც. კამერების ხედვის მონიტორი განთავსებულია უცხო პირისგან დაცულ ადგილზე. ვიდეო კამერებზე პასუხისმგებელია უფლებამისილი პირი. რაც შეეხება დანარჩენ ორ მისამართზე განთავსებულ დაწყებითი სკოლის შენობებს, სადაც მხოლოდ ორ-ორი საკლასო ოთახია, **კამერებით არ არის აღჭურვილი.**

უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, მრჩეველთა საბჭო, დასაქმებულია ორი დარაჯი, შემოღობილია სამივე სკოლის პერიმეტრი, წარმოდგენილია მრჩეველთა საბჭოს სამოქმედო გეგმა, სადაც იკითხება უსფრთხოების საკითხების, მათ შორის ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დაგეგმილი ღონისძიებები და პასუხისმგებელი პირები. **სასურველია, სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში**

ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. კერძოდ, დანართების სახით შესაბამის უწყებებთან მიწერილი წერილები და შესაბამისობის გეგმა. შესაბამისობის გეგმაში გაწერილია ხარვეზის აღმოფხვრის ვადები (2025 წლის ივლისი-2027 წლის ივლისი), **აქტივობები**(1.სკოლის სამივე მისამართისთვის საგანგებო მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან 2.სკოლის სამივე მისამართისთვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ მდგრადობის დასკვნის მოპოვება. 3.სოფელ ბზუბზუს და სოფელ ზუნდაგის დაწყებითი სკოლების სივერცეების აღჭურვა ვიდეოსათვალთვალო კამერებით),**ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა, ჩართული მხარეები** (1.სსიპ ქედის სგანმანათლებლო რესურსცენტრი 2.ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო), **შეფასებულია რისკები** (30%) , **მტკიცებულებებად წარმოდგენილია შესაბამის უწყებეთან მიწერილი წერილები** (1.საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების მიზნით, 2025 წლის 3 ივლისის მიმართვის წერილი (MES 5 25 0000815630) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური. 2.სკოლის სამივე მისამართზე განთავსებული შენობების მდგრადობის დასკვნის მოპოვების მიზნით, 2025 წლის 22 მაისის წერილი (MES 3 25 0000557987) სსიპ ლევან სამხარაულის-სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიურო).

სკოლამ ასევე წარმოადგინა, სკოლის სამივე მისართზე არსებული შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვების მიზნით 2025 წლის 2 ივნისს გაგზავნილი მიმართვის წერილი (MES 8 25 0000907802) შსს სს-დ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. რამდენადაც ხარვეზის აღმოსაფხვრელად სკოლამ განსაზღვრა 24 თვე, შესაბამისად

ინდიკატორი 3.4.1.1 ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია

სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს:

- ✓ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის უწყებასთან (2025 წლის ივლისი-2027 წლის ივლისი)
- ✓ სკოლის სამივე მისამართზე შენობების მდგრადობის დასკვნის მოპოვება (2025 წლის ივლისი-2027 წლის ივლისი)
- ✓ სოფელ ბზუბზუს და სოფელ ზუნდაგის დაწყებოთი სკოლების სივრცეების ვიდეოსათვალთვალო კამერებით აღჭურვა (2025 წლის ივლისი-2027 წლის ივლისი)

2.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლას შემუშავებული და 2024 წლის 11 სექტემბრის ბრ.N01-03/20 დამტკიცებული აქვს ,,პირველადი გადაუდებელი დახმარების, სკოლის სამედიცინო მომსახურების კაბინეტის ფუნქციონირების წესი“. წესი განსაზღვრავს სამედიცინო მომსახურების კაბინეტის მიზნები და ფუნქციებს, აღჭურვილობას, სკოლის სამედიცინო პერსონალის ფუნქცია -მოვალეობებს და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმებს. წესი ასევე არეგულირებს სკოლის სამივე მისამართზე სამედიცინო კაბინეტისა და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმომჩენი პირის ფუნქცია-მოვალეობებს. კერძოდ, სკოლის მთავარ ორსართულიან შენობაში (სოფელი ზუნდაგა მე-3 ქუჩა, N2ა), სადაც სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სამივე საფეხურზე, ფუნქციონირებს ახლადრეაბილიტირებული, ყველა საჭირო ინვენტარით აღწურვილი სამედიცინო კაბინეტი. სკოლაში დასაქმებულია კვალიფიციური ექთანი, რომელიც აწარმოებს კანონმდებლობით დადგენილ დოკუმენტაციას. რაც შეეხება ქვედა ბზუბზუს და ზუნდაგის დაწყებითი კლასების

შენობებს, ,,პირველადი გადაუდებელი დახმარების, სკოლის სამედიცინო მომსახურების კაბინეტის ფუნქციონირების წესის“ შესაბამისად აღჭურვილია პირველადი გადაუდებელი დახმარების ყუთით, ხოლო სამედიცინო პერსონალის არ არსებობის გამო, პირველად გადაუდებ დახმარებას მათი კომპეტენცისს ფარგლებში სკოლის პერსონალი (დაწყებითი განათლების პედაგოგები) გაუწევს და საჭიროების შემთხვევაში დაუკავშირდება გადაუდებელი დახმარების ცენტრს. აღნიშნულ მისამართებზე ადგილზე ვიზიტის დროს, სკოლის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ სოფლის ამბულატორიას /ექთანს, რომელიც სკოლის შენობის წინ მდებარეობს (ზუნდაგის დაწყებით სკოლა) ახლოს მდებარეობს. **სასურველია აღნიშნული ფაქტი სკოლამ გაწეროს ,,პირველადი გადაუდებელი დახმარების, სკოლის სამედიცინო მომსახურების კაბინეტის ფუნქციონირების წესში“ ან მოხდეს აღნიშნულ მისამართზე დასაქმებული რომელიმე პერსონალი გადამზადდეს პირველადი სამედიცინო დახმარების მიმართულებით.**

ინდიკატორი 3.4.1.2 შესაბამისობაშია

3.სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლას შემუშავებული და 2024 წლის 13 სექტემბერი სექტემბრის ბრძანება N01-03/31-ით დამტკიცებული აქვს სსიპ-ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“. დოკუმენტი განსაზღვრავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმებს, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელ პრევენციულ ღონისძიებებს, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელი ღონისძიებებს, სკოლის ვიდეოთვალთვალის სისტემით აღჭურვის, ადმინისტრირების, პერსონალურ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გამოყენების წესს. შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ,,ინფორმირებულობის უზრუნველყოფის“ მონაცემები. როგორც მცირეკონტინენიანი სკოლას არ ჰყავს მანდატური. დირექტორის N01-03/07ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირი, რომელმაც უსაფრთხოების კუთხით გაიარა გადამზადება. სკოლის სტრუქტურით განსაზღვრულია მრჩეველთა საბჭოს არსებობა, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის ტერიტორიაზე, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მრჩეველთა საბჭოს სამოქმდო გეგმით განსაზღვრულია საზოგადოებრივი წესრის დაცვის პრევენციული ღონისძიებები. სკოლას აქვს ორი ხელის დედექტორი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.4.1.3 დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სასურველია ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობებით“ დარეგულირდეს მრჩეველთა საბჭოს და უფლებამოსილი პირის ფუნქცია-მოვალეობები.

4.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლას განსაზღვრული აქვს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნის მექანიზმები. კერძოდ, სადამრიგებლო პროგრამა, ასაკის შესაბამისად ითვალისწინებს კლასის საათის ჩატარებას ისეთ საკითხებზე როგორიცაა: ჩვენი უფლებები, საკუთარი თავის და უფროსის პატივისცემა, არა ნაადრევ ქორწინებას, მოწევა კლავს, მსოფლიო რელიგიოები და ტოლერანტობა, კონფლიქტების მართვა და მისი მოგვარების გზების დასახვა, სტერეოტიპები და საზოგადოება და სხვა. სკოლას ჰყავს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი სპეც. მასწავლებელი, რომლებიც უზრუნველყოფს განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფის სსსმ მოსწავლეების ემოციურ, ფსიქოლოგიურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. შემუშავებული ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობებით", განსაზღვრულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებები, მათ შორის ფსიქოლოგიური დახმარების მიღებისა და საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის აქტივობები. ამასთანავე, სკოლას ჰყავს მრჩეველთა საბჭო, მრჩეველთა საბჭოს სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ტოლერანტული, თანასწორუფლებიანი და პოზიტიური გარემოს შექმნასთვის საჭირო აქტივობების განხორციელებას. სკოლის საშტატო განრიგით განსაზღვრულია ფქსიქოლოგის პოზიცია, რაზეც სკოლა გამოცხადებული აქვს ვაკანსია.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.4.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლაში სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულია 2 დამლაგებელი. დამლაგებლის ფუნქცია-მოალეობები რეგულირდება გაფორმებული ხელშეკრულებით. საშტატო განრიგით განსაზღვრული ორი დამლაგებელი უზრუნველყოფს სოფელი ზუნდაგა მე-3 ქუჩა, N2ა მისამართზე განთავსებული ორსართულიანი შენობის პირველ და მეორე სართულზე განლაგებული დერეფების, სველი წერტილების და სასკოლო ოთახები სველი წესით დალაგებას. რაც შეეხება ადმინისტრაციულად მიერთებულ ორ სკოლას, იქ მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამითაა დასაქმებული დამლაგებლები, რომლებთანაც ასევე გაფორმებულია შრომით ხელშეკრულება.

სოფელი ზუნდაგა მე-3 ქუჩა, N2ა ორსართულიან შენობაში, ორივე სართულზე განთავსებულია სველი წერტილები, ცალკე ბიჭების და ცალკე გოგონებისთვის და პერსონალისთვის. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი.

ქვედა ბზუბზუს დაწყებით სკოლაში სველი წერტილები მოწყობილია შენობის გარეთ კაპიტალური შენობაში, სადაც არის ცალკე ბიჭებისა და ცალკე გოგონების საპირფარეშოები თავისი ხელსაბანებით და დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ზუნდაგის დაწყებითი სკოლაში შენობაში არის ორი სველი წერილი გოგნებისთვის და ბიჭებისთვის. სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას ზედამხედველობას უწევს სკოლის ექთანი.

აღნიშნულიდან გამომდინარე **ინდიკატორი 3.4.1.5.დაკმაყოფილებულია**

6.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების, მოსწავლეთა, თანამშრომელთა, მშობელთა პერსონალურ მონაცემთა დაცვას ,,პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონისა და სხვა მოქმედი სპეციალური კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლაში შემუშავებული და დირექტორის 2024 წლის 9 სექტემბერის N 01-03/19 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები".

მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს.

პერსონალური მონაცემები მუშავდება როგორც ავტომატური ისე არაავტომატური საშუალებების გამოყენებით. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები" დეტალურად განსაზღვრავს რა ტიპის მონაცემები მუშავდება, რა სახით და რა მიზნით. სკოლის დირექტორის 01-03/05 ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ოფიციალურ გვერდზე იძებნება ინფორმაცია სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შესახებ.

ინდიკატორი 3.4.1.6 დაკმაყოფილებულია.

7.სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლა იღებს შესაბამის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ზომებს, იმ ელექტრონული თუ მატერიალური დოკუმენტების დასაცავად, სადაც ინახება ინფორმაცია სუბიექტების შესახებ. სკოლა და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფენ ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არაავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან, პროგრამაში (განათლების მართვის სისტემის მიერ ლიცენზირებული) არსებული მონაცემები ხელმისაწვდომია მხოლოდ სკოლაში დასაქმებული პირებისთვის. სკოლის პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი აკონტროლებს სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესს და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს.

ინდიკატორი 3.4.1.7 დაკმაყოფილებულია.

8.სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლაში უზრუნველყოფს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების შეფასება. ამ მიზნით სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო. მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმებიდან ჩანს, რომ საბჭოს მუშაობა მიმართულია უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების შეფასებაზე. მრჩეველთა საბჭოზე ხდება შეფასების შედეგების განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები"-ით განსაზღვრულია, რომ სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასებას ახორციელებენ, ანონიმური კითხვარის საშუალებით, მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი კანონიერი წარმომადგენლები. კითხვარის ფორმას, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ამტკიცებს სკოლის დირექტორი. წესი არეგულირებს

კითხვების შევსების პერიოდს და პასუხიმგებელ პირს.

ინდიკატორი 3.4.1.8. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- წერილი რესურსცენტრს სკოლის რეაბილიტაციის შესახებ-MES 9 25 0000466902; 01/05/2025
- წერილი MES 3 25 0000557987-სსიპ ლევან სამხარაულის-სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს
- წერილები: MES 9 25 0000352917; MES 3 25 0000274864 -საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს
- საგანგებო მართვის გეგმა
- სკოლის დირექტორის ბრ. N01-03-08- საგანგებო შტაბის შექმის შესახებ
- მრჩეველთა საბჭოს სამოქმედო გეგმა
- სკოლის სტრუქტურა
- სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები
- დარაჯთან გაფორმებული ხელშერულება
- სკოლის დირექტორის 2024 წლის 11 სექტემბრის ბრ.N01-03/20 დამტკიცებული აქვს ,,პირველადი გადაუდებელი დახმარების, სკოლის სამედიცინო მომსახურების კაბინეტის ფუნქციონირების წესი“
- ექთნის პირადი საქმე
- ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულება
- მე-11 კლასის სადამრიგებლო პროგრამა
- საშტატო ნუსხა
- ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. მახუნცეთის საჯარო სკოლის სამედიცინო ოთახის მოწყობის ხართაღრიცხვა და ინვოისი-შპს "არქ ქეის"
- დირექტორი 2024 წლის 13 სექტემბერი სექტემბრის ბრძანება N01-03/31-ით დამტკიცებული სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“
- დირექტორის N01-03/07ბრძანება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ
- დამლაგებელთან გაფორმებული შრომით ხელშერულება
- დირექტორის 2024 წლის 9 სექტემბერის N 01-03/19 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“
- სკოლის დირექტორის 01-03/05 ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნის შესახებ.
- სამეურვეო საბწოს სხდომის ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

სსიპ-ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლა მოიცავს სოფელ ზუნდაგის საშუალო სკოლას და მასთან ადმინისტრაციულად მიერთებულ სოფელ ზუნდაგის და სოფელ ბზუბზუს დაწყებით (1-4) სკოლებს.
საჯარო რეესტრის ამონაწერით, სოფელ ზუნდაგის საშუალო სკოლის მისამართია ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზუნდაგა, მე-3 ქუჩა, N2ა (ს/კ 21.01.36.058;) და განთავსებულია 1957.77 კვ.მ ორსართულიან შენობაში, რომლის გარე ფასადი ახალდ რეაბიტირებულია. შენობის შესასვლელი უზრუნველოფილია ლიფტით ხოლო შიდა სივრცე არ არის ადაპტირებული შშმ პირისთვის. სკოლის შენობაში სულ 17 საკლასო ოთახია. საკლასო ოთახების გარდა შენობაშია სპორტული დარბაზი, სამედიცინო კაბინეტი, დირექტორის ოთახი, მცირე სააქტო დარბაზი, კომპიუტერული კლასი, ხელოვნების კლასი, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორები: ფიზიკა-ქიმია და ბიოლოგია. ფიზიკა-ქიმიის ლაბორატორიას აქვს საპრეპარატო ოთახი. ორივე სართილზე განთავსებული სველი წერტილები ბიჭებისთვის, გოგონებისთვის და პერსონალისთვის. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სკამებით და სასკოლო დაფით. ზოგიერთ საკლასო ოთახში არის კომპიუტერული ტექნიკა და

პროექტორი. სკოლაში ყველა საგანს თავის კაბინეტი აქვს, სადაც განთავსებულია შესაბამისი მიზნობრივი რესურსები. შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. სკოლის დირექტორის განმარტებით იგეგმება სკოლის შიდა სივრცის რეაბილიტაცია. სპორტული აქტივობებისთვის სკოლას აქვს დიდი სპორტული მოედანი და ჭიდაოის დარბაზი, რომელიც საჭიორებს რეაბილიტაცია.

სოფელ ზუნდაგის დაწყებითი (1-4კლ) სკოლის მისამართია, ქედის რაიონი, მუხუნცეთის თემი, სოფელი ზუნდაგა. სკოლა განთავსებულია ერთსართულიან კაპიტალურ შენობაში, რომლის ფართია-82.08კვ.მ, ხოლო მიწის დაზუსტებული ფართი შეადგენს-1251კვ.მ-ს. შენობაში 2 საკლასო ოთახია, ასევე არის სამასწავლებლო, სველი წერტილები ბიჭებისა და გოგონებისთვის. შენობას აქვს მცირე დერეფანი და აივანი. სკოლის მთელი პერიმეტი შემოღობილია. ეზოში მოწყობილის დიდი სპორტული მოედანი. სკოლაში ფუნქციონირებს ორი კლასკომპლექტი (I-III და II-IVკლასები). სასწავლო მიზნებისათვის სკოლაში არის 2-კომპიუტერი. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს და მასწავლებლებს გადაცემული აქვთ ბუქები.

სოფელ ბზუბზუს დაწყებითი (1-4კლ) სკოლა განთავსებულია ერთსართულია ხის შენობაში, რომელიც საჭიროებს რეაბილიტაცია. ამის შესახებ სკოლას განაცხადი აქვს გაკეთებული ქედის რესურსცენტრში. სკოლის შენობაში სულ ორი საკლასო ოთახია, სადაც ფუნქციონირებს ორი კლასკომპლექტი (I-III და II-IVკლასები). საკლასო ოთახებში განთავსებულია მოსწავლის რაოდენობის შესაბამისი ინდივიდუალური მერხები და სკამები. შენობაში კიდევ არის ერთი ოთახი, რომელიც გამოიყენება სამასწავლებლოდ. შენობა აღჭურვილი ერთი კომპიუტერით. მოსწვლეები და მასწავლებლები უზრუნველყოფილნი არიან ბუქებით. სკოლის ეზოში არის ცალკემდგომი შენობა სადაც მოწყობილია სველი წერტილები ბიჭებისა და გოგნებისთვის. სკოლის პერიმეტრი შემოსაზღვრულია ღობით, რომელიც დიდთოვლობის გამო დაზიანებული იყო. თუმცა დაზიანება არ არის ისეთი მაშტაბურია, რომ სასწავლო წლის დაწყებამდე სკოლამ თავის ძალებით ვერ მოახერხოს შეკეთება. საჯარო რეესტრის ამონაწერით სოფელ ბზუბზუს დაწყებითი სკოლა ფუნქციონირებს 48.90 კვ.მ ფართის შენობაში, ხოლო დაზუსტებული მიწის ფართია-485.00კვ.მ.

ინვენტარიზაციის მასალებით დგინდება, რომ სკოლის ბალანსზეა-345 მერხი და სკამი. სასკოლო დაფა-22, კომპიუტერი-23. ქსეროქსი-პრინტერის აპარატი-5. სამივე შენობის საჯარო რეესტრის ამონაწერით ქონების მფლობელია სახელმწიფო, რაც იძლევა გარანტიას, რომ ავტორიზაციის პერიოდში სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლა უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ინფრასტრუქტურით და მატერიალურ რესურსით.

ინდიკატორი 3.5.1.1 დაკმაყოფილებულია

2.დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლას შემუშავებული და დირექტორის 2024 წლის 11 სექტემბერი N01-03/26

ბრძანებით დამტკიცებული აქვს ლაბორატორიის გამოყენების წესი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეების და მასწავლებლების მიერ სკოლის ლაბორატორიებით სარგებლობის პირობებს, მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებს და ფუნქციებს. აღნიშნულ წესში აღწერილია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის და კომპიუტერული კლასით სარგებლობის წესები. სკოლის ბიბლიოთეკის გამოყენების წესები და პირობები გაწერილია ბიბლიოთეკის დებულებით. განსაზღვრულია სამკითხველო დარბაზში ქცევის წესები. ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ ბიბლიოთეკით, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით და კომპიუტერული კლასით სარგებლობის წესები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის, რამდენადაც გამოკრულია თვალსაჩინოს შესაბამის ლოკაციაზე.

ინდიკატორი 3.5.1.2 დაკმაყოფილებულია

3.სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით. კერძოდ, სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა. შემუშავებულია ბიბლიოთეკის მუშაობის წესი (დებულება), რომელიც განსაზღვრავს: ბიბლიოთეკის მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებს და ფუნქციებს, ბიბლიოთეკაში რეგისტრაციისა და წიგნების გატანა/დაბრუნების წესებს, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს, მკითხველის უფლება-მოვალეობებს, ბიბლიოთეკაში დაცული მასალების აღრიცხვისა და დაცვის წესს. ბიბლიოთეკაში გამოკრულია სარგებლობის წესი და მუშაობის განრიგი. წიგნები აღრიცხულია საინვენტარო წიგნში. შემთხვევითობის პრინციპით წიგნების შემოწმების შედეგად დგინდება, რომ წიგნები დამუშავებულია ბიბლიოთეკის დებულებით განსაზღვრულია ,,ბიბლიოთეკაში დაცული მასალების აღრიცხვისა წესის“ შესაბამისად. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის სასკოლო სახელმძღვანელოების უსასყიდლოდ, დროებით სარგებლობაში გადაცემას, რაზეც ფორმდება ხელშეკრულება სკოლასა და მოსწავლის მშობელთან/კანონიერი წარმომადგენელს შორის. სკოლის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია კომპიუტერით და ქსეროსი/პრინტერის აპარატით. ბიბლიოეკაში წიგნები აღრიცხულია, როგორც მატერიალურად ასევე ციფრულად.

ინდიკატორი 3.5.1.3 დაკმაყოფილებულია

4.სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

დასკვნის პროექტში აღნიშნული იყო, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ ქმნის სრულყოფილ ინკლუზიურ გარემოს. კერძოდ, სოფელ ზუნდაგის საშუალო სკოლის შენობას ადაპტირებული აქვს მხოლოდ სკოლაში შესასვლელი, სადაც დამონტაჟებულია ლიფტი, რაც შეეხება სართულებზე გადაადგილებას **არ არის მოწყობილი პანდუსი. სკოლის არც ერთ მისამართზე არსებულ შენობაში არ არის ადაპტირებულ სველ წერტილი. ასევე არ არის ადაპტირებული სოფელ ზუნდაგის და სოფელ ბზუბზუს დაწყებითი სკოლების შენობაში შესასვლელები.** სკოლის ძირითად შენობაში არის მიზნობრივი რესურსებით აღჭურვილი რესურსოთახი.

სკოლამ წარმოადგინა კორექტირებული შესაბამისობის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს სრული ინკლუზიური გარემოს შექმნისთვის საჭირო აქტივობებს (1.სამივე შენობაში ადაპტირებული სველი წერტილებისა მოწყობა 2.სოფელ ზუნდაგის ორსართულიან შენობაში კიბეებზე პანდუსების დამონტაჟება 3.სკოლის ზუნდაგის და სოფელ ბზუბზუს ერთასართულიანი შენობის შესასვლელისთვის პანდუსის მოწყობა), **ხარვეზის აღმოფხვრის ვადებს** (2025 ივლისი-2027 წლის ივლისი და 2025 წლის აგვისტო-2027 წლის აგვისტო), **რისკებს** (30%) **და სხვა ჩართულ მხარეეს** (ინფრასტრუქტურის სააგენტო, აჭარის განათლებისა და სპორტის სამინისტრო). **რამდენადაც ხარვეზის აღმოფხვრის პერიოდი მოიცავს 24 თვეს. ინდიკატორის 3.5.1.4 ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალიწინებულ ვადებში (2025აგვისტო-2027აგვისტო) სოფელ ზუნდაგის ორსართულიან შენობის სრული ადაპტირება, კერძოდ ადაპტირებული სველი წერტილების მოწყობა და სართულებზე გადასაადგილებალად პანდუსის დამონტაჟება, ხოლო სოფელ ზუნდაგის და სოფელ ბზუბზუს ერთასრთულიანი შენობის შესასვლელისთვის პანდუსის და ადაპტირებული სველი წერტილების მოწყობა 2027 წლის აგვისტოსთვის

ინდიკატორი 3.5.1.4 ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია

5.სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბების შესაძლებლობას. კერძოდ, სკოლას აქვს დიდი ეზო, სპორტული მოედანი, სპორტული ღონისძიებებისთვის. შენობაში არსებული ნათელი და ფართე დერეფნები საშუალებას იძლევა მრავალფეროვანი ღონისძიებები განხორციელდეს. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, ხელოვნების ოთახი, სადაც არის საჭირო ინვენტარი და რესურსი საინტერესო შემოქმედებით საქმიანობისთვის.

სკოლას აქვს კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი ისტ-ის კაბინეტი, პრეზენტაციების და კონფერენციების განსახორციელებლად. სკოლის შენობაში შესვლისთანავე ყურადღებას იპყრობს მოხატული კედლები და საგნობრივი კაბინეტების კარებები, რომელიც მოსწავლეების და მასწავლებლების ერთობლივი შემოქმედებითი საქმიანობის შედეგია და მივანიშნებს, რომ სკოლა სოციო-კულტურული სივრცეა და იგი სასკოლო საზოგადოების კუთვნილებაა.

ინდიკატორი 3.5.1.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან-სოფელი ზუნდაგა ს/კ 21.01.36.058
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან-სოფელი ზუნდაგა ს/კ 21 01 36 057
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან-სოფელი ქვედა ბზუბზუ ს/კ 21.01.35.017
- ინვენტარიზაციის ოქმები

- მიღება-ჩაბარების აქტები
- დირექტორის 2024 წლის 11 სექტემბერი N01-03/26 ბრძანებით დამტკიცებული ,,ლაბორატორიის გამოყენების წესი“
- დირექტორის 2024 წლის 11 სექტემბერი ბრძანება N01-03/25-ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ.
- შესაბამისობის გეგმა
- წერილი რესურსცენტრს სკოლის რეაბილიტაციის შესახებ-MES 9 25 0000466902; 01/05/2025

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას

სკოლას აქვს საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. კერძოდ, სოფელ ზუნდაგის საშუალო სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული კლასი. განსაზღვრულია კომპიუტერულ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირი.

კომპიუტერულ კლასში განთავსებულია 11 პერსონალური კომპიუტერი და 1 პროექტორი. კომპიუტერული ტექნიკა და პორექტორი განთავსებულია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში და კიდევ რამდენიმე საკლასო ოთახში. მასწავლებლებს საშუალება აქვთ ისარგებლონ კომპიუტერული კლასით. კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილია სკოლის ბიბლიოთეკა და ხელოვნების კაბინეტი. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით. დაწყებითი სკოლების პედაგოგებს და მოსწავლეებს გადაცემული აქვს ბუქებით. სოფელ ზუნდაგის დაწყებით სკოლაში არის 2

პერსონალური კომპიუტერი, ხოლო სოფელ ბზუბზუს დაწყებით სკოლას 1 პერსონალური კომპიუტერი. სკოლის საინფორმაციო ტექნოლოგიური რესურსი საკმარისია კურიკულუმით დასახული მიზნებისა და ადმინისტრაციული პროცესების განსახორციელებლად.

აღნიშნულიდან გამოდინარე ინდიკატორი 3.6.1.1 დაკმაყოფილებულია

2.ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

სკოლაში არის საზიარო სამუშაო სივრცეები: კომპიუტერული კლასი, ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებულია კომპიუტერული ტექნიკა და შესაძლებელია მისი მიზნობრივი გამოყენება. სკოლას შემუშავებული აქვს ლაბორატორიით სარგებლობის წესი“, რომელიც არეგულირებს სკოლაში კომპიუტერული ლაბორატორიის მუშაობას და ინტერნეტის მიზნობრივად გამოყენებას. კერძოდ, განსაზღვრავს მომხმარებელის უფლებებს, შეიყვანოს და დაარედაქტიროს ტექსტი, მოიძიოს და გადმოწეროს საჭირო მასალები, ისარგებლოს ელექტრონული რესურსით და მათი გამოყენებით იმუშაოს ლიტერატურაზე. შესაძლებელია ელ ფოსტით სარგებლობა. აღნიშნული წესი ადგენს გარკვეულ შეზღუდვებს ინტერნეტით სარგებლობაზე. კერძოდ, დაუშვებელია კომპიუტერებში რაიმე ფაილის წაშლა, ასევე მისი გამოყენება თამაშებისა და სხვა გართობისათვის, დაუშვებელი კომპიუტერის გაუმართავად მუშაობისას, ხარვეზის თვითნებურად გასწორება.

ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის 2024 წლის 11 სექტემბერი N01-03/26 ბრძანებით დამტკიცებული ,,ლაბორატორიის გამოყენების წესი“
- ინვენტარიზაციის დოკუმენტები

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი

სკოლას შემუშავებული და დირექტორის 2024 წ. 11 სექტემბრის N01-03/21 ბრძანებით დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც არეგულირებს სკოლაში დოკუმენტბრუნვის პროცესებს. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული (,,eflow”) და მატერიალური ფორმით. საქმისწარმოების წესის შესაბამისად სკოლაში ხორციელდება შემოსული

და გასული კორესპონდენციის აღრიცხვა. დოკუმენტბრუნვა მოიცავს სამი სახის დოკუმენტაციას: შემოსული დოკუმენტაცია; გასული დოკუმენტაცია; შიდა დოკუმენტაცია. დოკუმენტების აღრიცხვის მიზნით სკოლაში არსებობს: გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი, შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი, საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი და საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი. საშტატო განრიგით გათვალიწინებულია საქმისმწარმეობლის პოზიცია. ამ ეტაპზე საქმისმწარმოებლის პოზიციაზე სკოლას გამოცხადებული აქვს ვაკანსია და საქმისწარმოების ფუნქციებს ასრულებს დირექტორის მოადგილე.

ინდიკატორი 3.6.2.1 დაკმაყოფილებულია.

2.სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა („eflow") საშუალებით. სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა, სადაც ხდება ზოგიერთი ინფორმაციის და დოკუმენტის მიიღება.

ინდიკატორი 3.6.2.2 დაკმაყოფილებულია.

3.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლას ასახული აქვს საჭირო ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. კერძოდ, საინფორმაციო ბარათში შეყვანილია სხვადასხვა ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. შევსებულია ინფორმაცია დასაქმებული პირების და პირველკლასელთა რეგისტრაციის შესახებ.

ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებულია

4.სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაცია. წარმოდგენილი მასალების დათვალიერებით დგინდება რომ, სკოლა ეფექტურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის უწყებებთან და აწვდის დროულ უკუკავშირს. კერძოდ, ავსებს თვითშეფასების კითხვარს და წარუდგენს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. თანამშრომლობს ქედის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, სკოლის დირექტორი, კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშს.

ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის 2024 წ. 11 სექტემბრის N01-03/21 ბრძანებით დამტკიცებული - საქმისწარმოების წესი.
- წერილი რესურსცენტრს სკოლის რეაბილიტაციის შესახებ-MES 9 25 0000466902; 01/05/2025

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით

skolebi.emis.ge გასხნილია, სსიპ -ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის ვებგვერდი, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. კერძოდ, საკომუნიკაციოდ მასზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია: სკოლის ელ.ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, მისამართი. საინფორმაციო ფუნქციის შესრულების მიზნით ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის საქმიანობის შესახებ. სოციალური ქსელშიც სკოლას აქვს თავისი Facebook გვერდი, სადაც განთავსებულია სკოლაში განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ სხვადასხვა ინფორმაცია.

სკოლის ვებ-გვერდი და სოციალური ქსელი არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან კომუნიკაციის მიზნით შემუშავებულია ,,მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის დებულება. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირება ხდება სხვადასხვა ფორმით სატელეფონო ზარი, ელექტრონული ჟურნალი, წერილი და ა.შ.

აღნიშნულიდან გამოდინარე **ინდიკატორი 3.6.3.1 დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

სკოლა უზრუნველყოფს განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. კერძოდ, სკოლის ვებ/გვერდზე განთავსებულია ინფორმაციიდან ჩაანს, რომ სკოლაში სწავლა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე მიმდინარეობს. სკოლის სოციალურ ქსელში განთავსებული სასკოლო ცხოვრების

ამსახველი მასალები, განხორციელებული პროექტები, საგნობრივი მიმართულებით შესრულებული დავალებების პრეზენტაციები, მოსწავლის კარიერული დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის მიზნით უშუალოდ პროვაიდერისგან გაზიარებულია ინფორმაცია პროფესიული პროგრამების შესახე. ვებგვერდის და სოციალური ქსელის ადმინისტრირებაზე განსაზღვრულია პასუხისმგები პირი, რომელიც უზრუნველყოფს ზუსტ და სანდო ინფორმაციის გავრცელებას.

ინდიკატორი 3.6.3.2 დაკმაყოფილებულია

3.საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

სკოლას შემუშავებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება, სადაც გაწერილია მოსწავლის მშობლებთან კომუნიკაციის წესები. კერძოდ, მხარეთა უფლება-მოვალეობანი, მშობლის სკოლაში გამოცხადების წესი და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები. სკოლისთვის მნიშვნელოვანია საზოგადოების აზრი, საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებაში. ამ მიზნით შემუშავებულია მშობელთა გამოკითხვის ფორმები. გამოკითხვის შედეგების ანალიზი საფუძველზე ხდება შემდგომი საქმიანობის დაგეგმვა და გაუმჯობესება. აღნიშნულიდან გამომდინარე

ინდიკატორი 3.6.3.3 დაკმაყოფილებულია

4.სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

skolebi.emis.ge გასხნილია, სსიპ-ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის ვებგვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.

ინდიკატორი 3.6.3.4 დაკმაყოფილებულია

5.ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლას ვებ-გვერდზე განთავსებული აქვს სტანდარტით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნილი ინფორმაცი. კერძოდ მისია, ხედვა, ღირებულებები, სკოლის სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდება. ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და

მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია:ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტა. რაც შეეხება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშს ამ ეტაპზე არ არის გამოქვეყნებული, რამდენადაც ჯერ პროცესი არ განხორციელებულა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.6.3.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებგვერდი
- სოციალური ქსელი: https://www.facebook.com/ssip.makhuntsetis.sajaro.sk.ola
- მიერ 2024 წლის 13 სექტემბრის N 01-03/29 ბრძანებით დამტკიცებული - მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირებისა და მშობელთან ურთიერთობის შესახებ დებულება
- გამოკითხვის ინსტრუმენტები-კითხვარები
- სადამრიგებლო პროგრამა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

სკოლამ წარმოადგინა 2025 წლის ბიუჯეტი, რომელიც განხილული და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოზე (ოქმი N6). სკოლის დირექტორის წლიური ფინანსური ანგარიშით დგინდება, რომ ბიუჯეტი შემუშავებულია რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე, როგორც შემოსავლების ასევე ხარჯვით ნაწილში.

სკოლის ბიუჯეტი ითვალისწინებს უსაფრთხოებასა და პროფესული განვითარება/ზრდასთან დაკავშირებულ ხარჯებს. რაც უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პერსონალის პროფესიული საჭიროებების გამოვლენის შედეგად, შესაბამისი ინტერვენციების და უსაფრთხოების ნორმების დაცვასთან დაკავშირებული აქტივობების განხორციელებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 3.7.1.1 დაკმაყოფილებულია

2.სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

საჯარო სკოლის წესდება განსაზღვრავს სკოლის ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის სისტემას. სკოლის მიმდინარე ხარჯების დაფინანსება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფოს მიერ ვაუჩერის გაცემით. სკოლა ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება.

სკოლის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლების მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტრო. სახელმწიფო კონტროლი გულისხმობს სკოლის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობის და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

სკოლის ბიუჯეტს შეიმუშავებს ბუღალტერი წინა წლის ბიუჯეტის ანალიზის, სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით და წარუდგენს დირექტორს. დირექტორს საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილება და მომზადებულ ბიუჯეტის გეგმის პროექტს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს წევრებს განსახილველად. მოწოდებული რეკომენდაციების და შენიშვნების კორექტირების შემდეგ უკვე ხდება მისი დამტკიცება სამეურვეო საბჭოზე და ფორმდება ოქმი. სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს N8 სხდომის ოქმი ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების შესახებ. საჭირო ცვლილებების შეტანის შემთხვევაში კვლავ ხდება სამეურვეო საბჭოს მოწვევა და ბიუჯეტის კორექტირებული გეგმის დამტკიცება. ყოველი წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს წლიური ბიუჯეტის ანგარიშს, სადაც ხდება სამეურვეო საბჭოს წევრებისთვის, დაგეგმილი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის დეტალური გაცნობა.

ინდიკატორი 3.7.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2025 წლის ბიუჯეტი
- სკოლის დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში ფინანსური საქმიანობის შესახებ
- სამეურვეო საბჭოს ოქმი N6. 2025 წლის-ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ
- სამეურვეო საბჭოს ოქმი N8-ბიუჯეტში ცვლილების დამტკიცების შესახებ
- 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის საკითხები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, რომელიც არეგულირებს მოსწავლის წახალისებისა და დისციპლინური დევნის საკითხებს.

სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი“, რომელშიც დაწვრილებით არის გაწერილი მოსწავლის და მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლების კანონიერი უფლებები, წარმოდგენილია შესაბამისი საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი. სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრების წესები მოცემულია განცხადებების/საჩივრების განხილვის წესში. ადამიანებისა და

პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები", რომელშიც დაწვრილებით არის გაწერილი უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებები, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელი ღონისძიებები.

პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმის უზრუნველსაყოფად შემუშავებულია ,,პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი", რომელიც წარმოადგენს მონაცემთა დამუშავების წესს, შეიცავს ტერმინთა განმარტებას, მონაცემთა დამუშავების საფუძველს, მონაცემთა სუბიექტებს, კატეგორიას, წყაროს, მონაცემთა სუბიექტების უფლებებს, პასუხისმგებელი პირის განსაზღვრას, მონაცემთა გამოყენების და მასზე წვდომის შესახებ განმარტებას და ვალდებულებებს. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და აადვილებს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა, სსსმ და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში შემდგომი ადაპტაციის და დეზადაპტაციის მექანიზმები გაწერილია ,,მოსწავლეთა ადაპტაციის წესში" და ,,ტრანზაციის დებულებაში": მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიკაციის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა. სასწავლო პროცესში მოსწავლეთა უფლებების გარკვეული საკითხები რეგულირდება სასკოლო სასწავლო გეგმით. სკოლაში ფუნქციონირებს კანონით გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეულები, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხო, ორგანიზებულ და კეთილგანწყობილ გარემოს შექმნას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლა, შიდა რეგულაციებით ახორციელებს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვასა და გარანტიების უზრუნველყოფას.

ინდიკატორი 4.1.1.1 დაკმაყოფილებულია

2.მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებეულია სასკოლო საზოგადოებასთან. კერძოდ, სკოლის ვებგვერდზე და საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლი შინაგანაწესი, მოსწავლის ქცევის წესები, ვიდეოთვალთვალის გამაფრთხელებელი ნიშანი და სხვა სკოლის შიდა მარეგულირებელი აქტები.

სადამრიგებლო პროგრამის მიხედვით, კლასის დამრიგებელი, მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას განახორციელებს ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ასევე თითოეული მოსწავლის მშობელთან/მეურვესთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები.

ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია

3.მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

ადგილზე ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენელთან გაფორმებული კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, მხარეთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობის შესახებ, მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების წესები, სასწავლო დრო, დასვენების დრო და უქმე დღეები. ასევე განსაზღვრულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები, დავების გადაწყვეტა და მისი მარეგულირებელი კანონმდებლობა, დამატებითი პირობები და მხარეთა რეკვიზიტები.

ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 11 სექტემბერი ბრძანებით N01-03/22 დამტკიცებული -განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი
- სსიპ - სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 13 სექტემბრის N01-03/34 ბრძანებით დამტკიცებულია „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი“.
- სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის 2024 წლის 13 სექტემბერი სექტემბრის ბრძანებით N01-03/31 დამტკიცებული სსიპ-ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“
- სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის დირექტორის 9 სექტემბერი ბრძანება N01-03/16-ით დამტკიცცებული სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის ,,მოსწავლის ადაპტაციის წესი“
- სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის დირექტორის 13 სექტემბრის ბრძანება N01-03/35-ით დამტკიცებული ,, ტრანცაზიის დებულება“
- სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 21 სექტემბრის N-01-03/27 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის ,, 2024-2025 სასწავლო წლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა ‘

- სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის პედაგოგიურ საბჭოზე 2024 წლის 30აგვისტო N1 სხდომაზე დამტკიცებული- სასკოლო სასწავლო გეგმა
- დამრიგებლის დებულება
- მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები

სკოლას შემუშავებული აქვს ,,მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი", სადაც გაწერილია პირველ კლასში მოსწავლის რეგისტრაციის ვადები; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვის წესები და პირობები; მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურები (პირველი კლასის გარდა); მოსწავლის სტატუსის შეჩერებების, აღდგენის და საფეხურის დაძლევის რეგულაციები.

რჩევა: სასურველია სკოლის მიერ შემუშავებული ,,მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები ასევე, მოიცავდეს უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების მქონე პირის სკოლაში ჩარიცხვის პროცედურებს და პირველი კლასის გარდა სხვა კლასებში სსსმ მოსწავლის მობილობის რეგულაციებს.

ინდიკატორი 4.1.2.1.დაკმაყოფილებულია

2.სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს.

,,მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი"-ის საფუძველზე სკოლა უზრუნველყოფს აღნიშნული პროცესების განხორციელებას. ადგილზე ვიზიტის დროს, მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლაში კანონმდებლობის წესის დაცვით მიმდინარეობს პირველკლასელთა ჩარიცხვა, მათ შორის სსსმ მოსწავლის. სკოლას წინასწარ განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლეთათვის ადგილების რაოდენობა.

ინდიკატორი 4.1.2.2 დაკმაყოფილებულია

3.სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს მათ უფლებებს და მოვალეობებს (სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმას). სასწავლო წლის დასაწყისშივე ხდება მოსწავლისა და მათი მშობლების ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგების შესახებ. დამრიგებელი აწვდის ინფორმაციას სკოლაში არსებული კლუბების, წრეების და არაფორმალური განათლების ფარგლებში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობებისა და პროექტების შესახებ. საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები, სასკოლო კალენდარი, დღის რეჟიმი და უსაფრთხოების უზრნველყოფის მიზნით საჭირ საკონტაქტო ინფორმაცია. ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია სკოლის შინაგანაწესი. Facebook გვერდზე განტავსებულია ინფორმაცია კონკურსებისა და ღონიძიებების შესახებ. ასევე საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის კარიერული დაგეგემვისა მიზნით გაზიარებული ინფორმაცია პროფესიული კოლეჯების თუ საუნივერსიტეტო პროგრამების შესახებ. კლასის დამრიგებლები უზრუნველყოფენ პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მიმართულებით დამრიგებლის საათის ჩატარებას.

წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

ინდიკატორი 4.1.2.3.დაკმაყოფილებულია

4.სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. გამჭირვალეობის მიზნით, სკოლის სოციალურ ქსელში და ვებგვერდზე გამოქვეყნებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ, რომელის განახლება ხდება პერიოდულად. დამრიგებლების საშუალებით მშობელს შეუძლია მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია საკუთარი შვილისა და სკოლის სერვისების შესახებ. მოსწავლეთა თვითმართველობა უზრუნველყოფს იდეებისა და ინიციატივების გენერირებას სხვადასხვა პროექტების განსახორციელებლად. სკოლაში არსებული კლუბები, სერვისები, აქტივობები იძლევა საშუალებას, რომ მასში ჩაერთოს ყველა მოსწავლე, სურვილის შემთხვევაში, განურჩევლად სქესისა, ეროვნული თუ რელიგიური კუთვნილებისა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ინდიკატორი 4.1.2.4 დაკმაყოფილებულია

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- დამრიგებლის დებულება
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 13 სექტემბერი ბრძანება N01-03/28-ით დამტკიცებული ,,მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი“
- სკოლის სოციალური ქსელი
- სკოლის ვებგვერდი
- კლუბების პორტფოლიო.(მწვანე სიცოცხლე)
- კლუბის რეფლექსია
- მე-11 კლასის დამრიგებლის პორტფოლიო

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომელიც დეტალურად აღწერს ადაპტაციის პრინციპებსა და მნიშვნელოვან ფაქტორებს. ადაპტაციის წესი მოიცავს პირველკლასელთა ადაპტაციას, სპეციალური საჭიროების მქონე

მოსწავლის ადაპტაციას და მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაციას. სკოლას შემუშავებული აქვს ტრანზიციის გეგმა, სადაც დეტალურადაა გაწერილი ჩარიცხული მოსწავლის ადაპტაციაზე პასუხისმგებელი პირები და მათი მოვალეობები. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სსსმ მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობა და სსსმ მოსწავლესა და კლასის დანარჩენ მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და ჯგუფთან მიკუთვნებულობის ხარისხის გაზრდაზე ზრუნვის ღონისძიებები და განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორი 4.2.1.1დაკმაყოფილებულია.

2.სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სკოლაში ვიზიტის დროს, დირექტორთან გასუბრებისას აღინიშნა, რომ სწავლის დაწყების მომენტიდან სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. ამ კუთხით განსაკუთრებულად აღნიშნავენ სკოლის დაწყების პირველ დღეს, რაც გაწერილი აქვთ მოსწავლეთა ადაპტაციის წესშიც. სკოლაში სწავლის დაწყების შემდეგ მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენისას, საგნის პედაგოგები აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რაც ეხმარებათ გარემოსთან შეგუაბაში. სკოლაში სსსმ მოსწავლის გადმოსვლის ან ჩარიცხვის შემთხვევაში ხდება ისგ ჯგუფების შექმნა, რომელელიც უზრუნველყოფს მოსწავლეზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნიდან გამომდინარე.

ინდიკატორი 4.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3.მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლაში ვიზიტის დროს მასწავლებლებთან და დირექტორთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, რაც გამოიხატება მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით დამატებითი ინდივიდუალური ან ჯგუფური გაკვეთილის ჩატარებაში. ექსტერნების შემთხვევაში ყველა საგამოცდო საგანში მოსწავლე უზრუნველყოფილია კონსულტაციის მიღების შესაძლებლობით. აღსანიშნავია, რომ ზემო აღწერილი პროცედურები დეტალურად არის გაწერილი სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლაში ამ ეტაპისათვის არ არის რემედიაციის პროგრამა, თუმცა გამოთქვეს მზაობა საჭიროების შემთხვევაში ეს სერვისიც შესთავაზონ მოსწავლეებს.

ინდიაკტორი 4.2.1.3 **დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სასკოლო სასწავლო გეგმის და საქმისწარმოების წესის შესწავლისას დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით, რაც გამოხატება ინფორმაციის დროულად მიწოდებაში. ძირითადად ინფორმაციის მიმწოდებელი არის დამრიგებელი, საგნის

მასწავლებელი და დირექცია, რომლებიც იყენებენ როგორც პირდაპირი კომუნიკაციის გზას და ადგილზე აცნობენ მოსწავლეებს თუ რა შემთხვევაში და რა ვადებშია შესაძლებელი სემესტრული, ან საშემოდგომო, ან ექსტერნატის გამოცდების ჩაბარება, ან როდის, რა ვადებშია შესაძლებელი მობილობა. ასევე როდის და როგორ შეუძლია მაგ: მოსწავლეებს მონაწილეობა მიიღონ თვითმართველობის არჩევნებში მონაწილეობისთვის. გარდა პირდაპირი გზით ინფორმირებულობისა, სკოლა იყენებს კლასის მესენჯერის ჯგუფებს, სადაც აგზავნის მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენელთან სხვადასხვა ტიპის ინფორმაციას, რათა დროულად, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მოსწავლემ შეძლოს საკუთარი უფლებების რეალიზება.

ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

5.სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლა ხელს უწყობს არაფორმალური განათლების განვითარებას. მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში. სკოლაში ხორციელდება საკლუბო მუშაობა სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები: ,,მწვანე სიცოცხლე" და ხელოვნების სახელოსნო.

სკოლის მიერ მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები საჭირო რესურსების მიწოდებისა და სამუშაო სივრცის გამოყოფის მიმართულებით, რაც დასტურდება განხორციელებული პროექტებით.

ინდიაკტორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

6.მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მშობელთა ინფორმირება და მათგან უკუკავშირის მიღება, ძირითადად ხდება მშობელთა კრებებზე და სოციალური ქსელის საშუალებით. სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარები რომელსაც მშობელთა კრებაზე ავსებენ მშობლები. მოსწავლეებისაგან ეფექტური უკუკავშირის მისაღებად და მათი აზრის თავისუფლად დაფიქსირების მიზნით გამოიყენება სურვილების ყუთი. მიღებულ ინფორმაციას კი სკოლა შეძლებისდაგვარად ითვალისწინებს.

ინდიაკტორი 4.2.1.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის სკოლის ტრანზიციის დებულება.
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა
- ელექტრონული ჟურნალი

- ესქულის ბაზის ადგილზე დათვალიერება
- სკოლის თვითშეფასების ფორმა
- სკოლის სოციალური ქსელი https://www.facebook.com/ssip.makhuntsetis.sajaro.sk.ola
- კლუბების დებულება და სამოქმედო გეგმები

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის
სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა პროფორიენტაციის პროგრამა, რომლის თანახმადაც კლასის დამრიგებელი კლასის საათზე ესაუბრება ბავშვებს იმ პროფესიებზე, რომელიც მილევადია და აღმოჩნდება ამ პროფესიის დეფიციტი. კლასის საათის მიზანია ქვეყნისათვის და რეგიონისთვის საჭირო პროფესიის პოპულარიზაცია. აგრეთვე სკოლა გეგმავს სოფლის მოსახლეობაში სხვადასხვა პროფესიის ადამიანების საქმიანობის კვლევას და მათი პროფესიის პოპულარიზაციას (მეფუტკრეობა,მებოსტნეობა). პერიოდულად იგეგმება სხვადასხვა პროფესიის მქონე ადამიანების მოწვევა და საუბარი მათ პროფესიაზე, პროფესიის პოპულარიზაციის მიზნით.
ინდიაკტორი 4.2.2.1 დაკმაყოფილებულია.
2.სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით
სკოლა ორგანიზებას უწევს კოლეჯ „ბლექსის“ წარმომადგენლებისა და სხვადასხვა პროფესიის პირებთან შეხვედრებს საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან, რათა მათ შეძლონ სწორი არჩევანის გაკეთება მომავალი პროფესიის შერჩევისას.პროცესსი ჩართული არიან კლასის დამრიგებლები და ისინი პერმანენტულად აწვდიან ინფორმაციას აღნიშნულის შესახებ მოსწავლეებს, მათი ინტერესიდან და საჭიროებიდან გამომდინარე. ინფორმაცია ასევე ვრცელდება სკოლის სოციალურ გვერდებზე და საკლასო შეხვედრებზე. შესაბამისად მოსწავლეებს რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
ინდიაკტორი 4.2.2.2 დაკმაყოფილებულია.
3.სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

სკოლისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეების დახმარება კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით. სკოლის დირექციასთან ინტერვიუთი გაირკვა, რომ მომსახურების შეთავაზების გაწევისას ითვალისწინებენ როგორც მოსწავლეთა ინტერესებს, ასევე წინა პერიოდში გაწეული მომსახურების შედეგებს. აქვთ აქტიური სატელეფონო კომუნიკაცია თავიანთ ყოფილ მოსწავლეებთან. მათგან მიღებულ უკუკავშირ კი ითვალისწინებენ სხვა მოსწავლის კარირული დაგეგმვის ნაწილში სათანადო დახმარების აღმოსაჩენად.

ინდიაკტორი 4.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ფეისბუქგვერდი
- სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრება

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას წარმოდგენილი აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა. ტრანზიციის წესში გაწერილია, რომ სკოლა ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეთა პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებელში ტრანზიციის ეტაპს სხვადასხვა აქტივობებით, თუმცა დაკონკრეტებული არაა კონკრეტულად რა ტიპის აქტივობებს განახორციელებს. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, სადაც წარმოდგენილია მუხლი სსსმ მოსწავლის ადაპტაციის შესახებ. სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება ი.ს.გ ჯგუფი. ი.ს.გ. ჯგუფის შეხვედრები ხორციელდება სასწავლო წლის გამავლობაში მინიმუმ ოთხჯერ და საჭიროების შემთხვევაში მეტჯერაც. ი.ს.გ ჯგუფის შეხვედრაზე სსსმ მოსწავლის მშობელი აქტიურადაა ჩართული შვილის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრასა და ი.ს.გ გეგმის შედგენაში. თითოეული მოსწავლისათვის შედგენილი ინდ. გეგმა ითვალისწინებს მათ ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და მაქსიმალურად არის მორგებული სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე.

ინდიაკტორი 4.2.3.1 დაკმაყოფილებულია.

2.სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმაში ყურადღება გამახვილებულია მშობლის, დამრიგებლისა და საგნის მასწავლებლის ჩართულობაზე. სკოლაში არსებობს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი. ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ ი.ს.გ ჯგუფის შეხვედრაზე სსსმ მოსწავლის მშობელი აქტიურადაა ჩართული შვილის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრასა და ი.ს.გ გეგმის შედგენაში.

ინდიკატროი 4.2.3. 2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა
- ინდ.გეგმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025წ
- ტრანზიციის წესი
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი*** **(არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა)

ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლა, დამტებითი არასავალდებულო მომსახურეობის სახით, მოსწავლეებს სთავაზობს ტრანსპორტით მომსახურებას. მოსწავლეთა ტრანსპორტირება ხორციელდება აჭარის განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს ხელმძღვანელობით, ტენდერით გამარჯვებული კომპანია დებს ხელშეკრულებას მძღოლებთან, ხოლო ხელმოწერილი ტაბელის ერთი ეგზემპლიარი ინახება სკოლაში მეორე იგზავნება სამინისტროში. გამოყოფილია ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელი პირი .

ინდიაკტორი 4.2.4.1 დაკმაყოფილებულია

2.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა, ტრანსპორტით მომსახურეობა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მშობლის/კანონიერი წარმომდგენლის განცხადების საფუძველზე. დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, ქედის რესურსცენტრი განიხილავს გნცხადებას და უზრუნველყოფს ტრანსპორტირების სერვისის მიწოდებას განმცხადებელი პირისთვის. აღნიშნული სერვისი მნიშვნელოვანია მახუნცეთის საჯარო სკოლისთვის, განსაკუთრებით ადმინისტრაციულად მიერთებულ მისამართებზე, რამდენადაც არ შეფერხდეს მოსწავლის საგაკვეთილო პროცესზე დაგვიენება.

ინდიაკტორი 4.2.4.2 დაკმაყოფილებულია

3.შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

დამატებითი მომსახურება სკოლაში ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს, რაზეც პასუხისმგებელია სერვისის მიმწოდებელი. სკოლაში, ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელი პირი ყოველდღიურად ახდენს ტრანსპორტის მონიტორინგს, რათა სასწავლო პროცესი წარიმართოს დროულად. ყოველივე ეს დასტურდება ე.წ. ტაბელით, რომელსაც ხელს აწერს მძღოლი და პასუხისმგებელი პირი.

ინდიაკტორი 4.2.4.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სატრანსპორტო ტაბელის ფორმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

დაწყებითი საფეხური

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

საბაზო საფეხური

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

საშუალო საფეხური

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლას დამტკიცებული აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები, პრინციპები, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები. დოკუმენტში გაწერილია, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ყურადღება მახვილდება შემდეგ საკითხებზე: კონცეპტუალური ჩარჩო და კურიკულუმის დიზაინი და განმარტებულია რას მოიაზრებს სკოლა თითოეული საკითხის ქვეშ. მეთოდოლოგია ითვალისწინებს შემუშავების პროცესის მონაწილეთა (მასწავლებელი, დირექცია, კათედრის თავმჯდომარე) ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილებას, სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმების განსაზღვრას. პროცესში გადანაწილებულია საქმიანობა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების თვალსაზრისით. სასკოლო საზოგადოების წევრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, კერძოდ, კურიკულუმის შექმნისას პედაგოგები ითვალისწინებენ ერთმანეთის გამოცდილებას, აზრს, განსხვავებულ ხედვებს და პრიორიტეტებს, მოსწავლეთა ინტერესებს და მოტივაციას. შეხვედრებზე მასწავლებლებს შორის მიმდინარეობს მსჯელობა მოსწავლეთა სუსტ და ძლიერ მხარეებზე, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზები, ჩატარებული გაკვეთილების რეფლექსიები და სხვა.

ინდიაკტორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სამივე საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების და სასკოლო სასწავლო გეგმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მათში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და პრიორიტეტები, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს საქმიანობა მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. მათში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებები და ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით. კათედრის თითოეული წევრი უშუალო და აქტიურ მონაწილეობას იღებს სკოლის აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებაში. ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ სწავლა-სწავლების პროცესში, საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა-წარმართვის დროს მასწავლებლები აქტიურად ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებას, მოტივაციასა და წინარე გამოცდილებას. მასწავლებლები მიმართავენ მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირებას და აკეთებენ შედეგების ანალიზს. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება დასტურდება სკოლაში არსებული სასკოლო კლუბების სამუშაო გეგმებითაც.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3..კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში ერთმანეთთან აქტიურად თანამშრომლობდა თითოეული კათედრა და სკოლის ადმინისტრაცია. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და თვითშეფასების ფორმის მიხედვით დასტურდება, რომ მშობლები ნაკლებად არიან ჩართული ამ პროცესებში და აქვთ დაბალი მოტივაცია. დამრიგებლის დებულებაში განსაზღვრულია თუ როდის და რა ფორმით მოხდება შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობა მშობლებისათვის. კურიკულუმის მეთოდოლოგიაში გაწერილია ფუნქია-მოვალეობები და პასუხისმგებლობები. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების და მშობლებთან ურთიერთობის შესახებ დებულება, რომელიც ადგენს მშობელებთან ურთიერთობის საშუალებეს. კურიკულუმის მეთოდოლოგიაში არ არის ნახსენები თუ რა გზით და როგორ ხდება მშობლების ჩართვა კურიკულუმის შემუშავებისას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მშობლების ინფორმირებისათვის იყენებენ სოციალურ ქსელს. მშობლები მოდიან სკოლაშიც.

ინდიკატორი2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიით, მშობლებთან ურთიერთობის დებულებითა და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად იყენებენ მშობელთა კრებებს და ელექტრონული ჟურნალის. ასევე მშობელთა ინფორმირებას ახდენენ მშობლის ბარათის საშუალებითაც. კურიკულუმები განთავსებულია სკოლის ღრუბლოვან სივრცეში და მასზე წვდომა აქვთ მასწავლებლებს, რაც საშუალებას აძლევთ თავიანთი მოსაზრებები დააფიქსირონ.

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ ბრძანებაN01-03/36
- დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
- სასკოლო კლუბების ფუნქციონირების დოკუმენტაცია.
- მოსწავლეთა სწავლის შედეგების დიაგნოსტირების მასალები
- მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების და მშობელთან ურთიერთობის შესახებ დებულება.
- სკოლის ვებგვერდი
- მშობელთა კრების ოქმი N1
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025წ.
- დამრიგებლის დებულება

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები შედგენილია გრძელვადიანი მიზნების გათვალისწინებით და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. შუალედური მიზნები განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმებში შერჩეულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომელიც მოსწავლისათვის ნაცნობი გამოცდილებაა, შეიცავს პრობლემას, დილემას, რომელთა გადაჭრაც მოსწავლეს სამიზნე ცოდნის გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. ეს ჩანს მოსწავლეთა მიერ შექმნილ შემოქმედებით პროდუქტებშიც, მრავალ და მრავალფეროვან ნამუშევრებში, რომლებიც ძლიერ ამშვენებს სკოლის კედლებს. ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული სკოლაში პროექტებზე მუშაობა, კლუბური სამუშაო, საგნობრივი

	წრე და სხვა.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ სამიივე საფეხურის კურიკულუმებზე და გასაუბრებაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის საგნობრივი ჯგუფის კურიკულუმები მოსწავლეზეა ორიენტირებული და ისეა დაგეგმილი რომ ჩანს მოსწავლის ინტერესები, წინარე ცოდნა და ცოდნის კონსტრუირება. კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს გრძელვადიანი, შუალედური და მოკლევადიანი მიზნებიც: ცნებების, თემების, საკითხების და კომპლექსური ან კომპლექსური ტიპის დავალებების სახით. ასევე ზოგიერთ საგნის ან კლასის კურიკულუმბში წარმოდგენილია ძირითადი კონტექსტ მაგალითები და მაგალითები შედარებისათვის, რაც შესამჩნევს ხდის მოსწავლეზე ორიენტირებას. **რჩევა :** სასურველია ყველა საგნის კურიკულუმში ჩანდეს მაგალითი შედარებისათვის და კონტექტ მაგალითები.
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვას და ამ პროცესის განვითარების გზას. **რჩევა:** კურიკულუმის ჩარჩოში, კონკრეტულად კონტექსტ მაგალითის სვეტში სწორედ იყოს მითითებული შესაბამისი დავალება, აქტივობა (ძირითადად, ინგლისური ენის კურიკულუმები) შეავსონ შეფასების გრაფა ან დანართის სახით დაურთონ, რადგან არსებოსბს ზოგ კურიკულუმშ ეს სვეტი და არ არის შევსებული. შეესაბამება სტანდარტს.
ესთეტიკური აღზრდა	პირველადი დასკვნის (დასკვნის პროექტი) ფარგლებში, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებით დახარვეზდა დაწყებითი და საბაზო საფეხურის სანობრივი კურიკულუმები. ხარვეზი შეეხებოდა შემდეგ საკითხებს: დაწყებითი საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სანობრივი კურიკულუმებში (III-IVკლასები) სამიზნე ცნებების ფორმულირება არ შეესაბამება საფეხურის სტანდარტს. ასევე თემატური ბლოკები არ არის სრულად შემოტანილი. შემოქმედებითი დავალება და სამიზნე ცნებები არ არის თანხვედრაში. მაგ: დიორამის შექმნისას კურიკულუმით მუშავდება მხოლოდ ანაბეჭდი და ხატვის ტექნიკა, რაც შემოქმედებით პროდუქტთან შესაბამისობაში არ არის. V-VI კლასებში საერთოდ არ მუშავდება სტანდარტით განსაზღვრული თემატური ბლოკები. სამიზნე ცნებების ფორმულირება უმეტეს შემთხვევაში დარღვეულია და საფეხურეობრივი სტანდარტს არ შეესაბამება. რაც შეეხება საბაზო საფეხურს, VIII-IX კლასის კურიკულუმებში არ არის განსაზღვრული სავალდებულო თემატური ბლოკები. სტანდარტით განსაზღვრული საფეხურეობრივი სამიზნე ცნებები არ მუშავდება სრულად

	თითოეული თემის ფარგლებში. შემოქმედებითი ტიპის დავალებები არ არის შესაბამისობაში თემებთან და რესურსებთან. აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა კორექტირებული კურიკულუმები, სადაც ხავეზები გასწორებულია. სტანდარტის უკეთ დაკმაყოფილების მიზნით სკოლას ეძლება გარკვეული რჩევები, რომელთა გათვალისწინება კურიკულუმის ჩარჩოს უფრო მკაფიოს და მიზანმიმართულს გახდის. მაგ: **მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სამივე საფეხურის** კურიკულუმები ჩარჩოები სასურველია წარმოდგენილი იყოს ერთი ფორმით. ასევე სასურველია **დაწყებით და საბაზო** საფეხურის რესურსების გრაფა შეივსოს სრულად გვერდების მითითებით. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მე-3, მე-5 და მე-6 კლასების კურიკულუმში თემატური ბლოკები სრულად იქნას წარმოდგენილი. ცნებების ფორმულირება მოხდეს სტანდარტის შესაბამისად. აქცენტი გაკეთდეს დასამუშავებელ ქვეცნებებზე ცნების ფარგლებში. (მე-5 კლასში არ ჩანს მეხუთე ცნება, ხოლო მე-6 კლასში პირველ თემაში სრულად მიეთითოს ცნებები შემოქმედებით პროდუქტთან მიმართებით, ცნება/ქვეცნება განთავსდეს შესაბამის სვეტში.) **საბაზო საფეხურზე** მე-8-კლასში, თემატური ბლოკის ,,ადამიანი ხელოვნება" ფარგლებში დამუშავდეს სასურველი თემა, საკითხები ფორმულირდეს იმგარად, რომ არ იმეორებდეს პარაგრაფების სათაურს. მე-9 კლასში თემატური ბლოკის "გარემო და ხელოვნება" ფარგლებში დამუშავდეს სასურველი თემა. სტანდარტის შესაბამისად მოხდეს მეორე და მესამე თემატური ბლოკის ფორმულირება "ადამიანი ხელოვნებაში", "საზოგადოება და ხელოვნება", ასევე საკითხები ფორმულირდეს იმგარად, რომ არ იმეორებდეს პარაგრაფების სათაურს. **რჩევა:** სასურველია მომავალი სასწავლო წლიდან სკოლამ დაწყებითი და საბაზო საფეხურის კურიკულუმის დაგეგმვისას გაითვალისწინოს ყველა სტრუქტურული ერთეული: თემატური ბლოკი, თემა, სამიზნე ცნება/ქვეცნება, საკითხი, კონტექსტ მაგალითი, შემოქმედებითი დავალება, რესურსი და დაიცვას საფეხურით განსაზღვრული სტანდარტთან მიმართებები. სასურველია მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სამივე საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო იყოს ერთნაირი. ასევე დაწყებით და საბაზო საფეხურის რესურსების გრაფა იქნას სრულად შევსებული გვერდების მითითებით. **საშუალო საფეხურის** კურიკულუმები სრულად აკმაყოფილებს ინდიკატორს.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ შემუშავებული დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით

	გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს.
მათემატიკა	სკოლის მიერ შემუშავებული დაწყებითი, საბაზო საშუალოო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმი შემუშავებულია საგნობრივ სტანდარტებზე დაფუძნებით და მიემართება საგნის სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაა. კურიკულუმში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები, თემები, საკითხები, ქვესაკითხები, შემოქმედებითი პროდუქტები და ყველა აუცილებელი კომპონენტი.
სპორტი	სკოლის მიერ შემუშავებული სამივე საფეხურის სპორტის კურიკულუმები დაფუძნებულია ესგ - ს და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე. მათში შეტანილია სასწავლო თემები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებებზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებას. **რჩევა:** სამომავლოდ სასურველი იქნება მეტი თემა იყოს თეორიული მიმართულებითაც.
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კომპლექსური დავალების იდეები კომპლექსური ბუნებისაა და ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა, სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და გახორციელებული სასწავლო პროცესით, იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. ჩანს, რომ სკოლას და მასწავლებელს აქვს მზაობა სწორედ დაგეგმონ სასწავლო პროცესი, ორიენტირება მოახდინონ გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განსაზღვრონ საფეხურის დონეზე.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ შემუშავებული დაწყებით საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მოცემულ კურიკულუმის ჩარჩოებში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გაწერილია შესაბამისი საგნების (ბუნებისმეტყველება, ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, მე და საზოგადოება)

	სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და სასწავლო რესურსები.კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები-შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს . ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაგეგმვისას ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებასა და მოსწავლეთა საჭიროებებს. შესაბამისად კურიკულუმის მიხედვით სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას და ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინებას. **რჩევა:** სასურველია კურიკულუმის ჩარჩოებში, კონკრეტულ სვეტებში სწორად იყოს მითითებული შესაბამისი აქტივობები.

2.კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილია საგნობრივი სტანდარტის შესაბამისი ყველა სავალდებულო თემა-კლასების მიხედვით. თითოეული თემის ფარგლებში , მუშავდება ყველა ძირითადი საკითხი და ყველა სამიზნე ცნება შესაბამისი ქვეცნებებით, საკითხების დამუშავება დაგეგმილია შემოქმედებითი ბუნების დავალებებით და მათი კრიტერიუმები მიემართება გრძელვადიანი მიზნებისკენ (საფეხურის შედგებისა და სამიზნე ცნებებისკენ), სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვა და სემესტრული განაწილება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ხოლო დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებში დასაზუსტებელი და გასამართია წარმოდგენილი თემების და ცნებების რაოდენობა, და ფორმულირება. იმის გათვალისწინებით, რომ ბუნებისმეტყველაბას და ბიოლოგიას ერთიდაიგივე პედაგოგი ასწავლის, მნიშვნელოვანია პედაგოგის გამოცდილება (კურიკულუმის სტანდარტთან შესაბამისობით წარმოების კუთხით) **რჩევა:** სასურველია დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოებში თემებისა და სამიზნე ცნებების ფორმულირება და რაოდენობები დაზუსტდეს საგნობრივ სტანდარტითან მიმართებით.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმტაციით დასტურდება რომ სამივე საფეხურის კურუკულუმიები მიმართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.

	კურიკულუმებში ჩანს თემები, ცნებები,ქვეცნებები, საკიხები და ქვესაკითხები. ასევე კომპლესური დავალებები ან კომპლექსური ტიპის დავალებები, რაც კავშირშია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან. **რჩევა:** სასურველია რომ ყველა საგნობრივი ჯგუფის კურიკულუმი იყოს ერთი ტიპის, ასევე ცნებები და ქვეცნები იყოს შესაბამისობაში ყველა საგნობრივ ჯგუფში
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მასალბშიდან ჩანს, რომ სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. კერძოდ, გათვალსიწინებულია საფეხურის სტანდარტი, სწავლის შედეგები, შუალედური მიზნების შესაბამისი დავალებები.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს, რომ კათედრას აქვს შემოქმედებითი ტიპის დავალებების განხორციელების გამოცდილება, გათავისებული აქვთ, შუალედური მიზნები განსაზღვრონ ამ დავალებებზე დაფუძნებით. გრძელვადიანი მიზნებს ემსახურება ცნება/ქვეცნებათა მუდმივი დამუშავება საკითხების კომპლექსური დავალებებით შესწავლით და პროდუქტის წარმოდგენით, რაც მოსწავლეებს განუვითარებს ცოდნის სამივე კატეგორიას. ესთეტიკურ საგნებში მოცემული აქტივობები მოსწავლეებს ჩამოუყალიბებს ემპათიის უნარს, ემოციურ ინტელექტს, მისცემს მათ იმპროვიზაციის შესაძლებლობას, განუვითარებს კრიტიკულ, შემოქმედებით აზროვნებას და მოამზადებს ცხოვრებისათვის.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის, თანდართული დოკუმენტაციითა და ინტერვიუთი დასტურდება, რომ რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სამივე საფეხურზე, სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი(თემა/საკითხი), შუალედური მიზანი/მიზნები, სათობრივი დატვირთვა, სემესტრული განაწილება, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. შუალედური სასწავლო მიზანი განსაზღვრულია კომპლექსური ბუნების დავალებით.
მათემატიკა	სამივე საფეხურის მათემატიკის კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების შესაბამისად, მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს, კურიკულუმით განსაზღვრული საათობრივი დატვირთვა, წარმოდგენილი მატერიალური და ელექტრონული რესურსი, კომპლექსური დავალების იდეები, ბარათები, მოსწავლეთა შესრულებული შუალედური და შემოქმედებითი ტიპის დავალებები უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევას.

სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის(დაწყებითი, საბაზო და საშუალო) კურიკულუმები მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმასა და საგნობრივი საფეხურეობრივი სტანდარტების შესაბამისად. ითვალისწინებს საგნის ზოგად მიზნებს, სამიზნე ცნებებს, საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგს.
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც აისახება სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში. კომპლექსური ბუნების დავალების იდეებში ჩანს რომ მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, ციფრული მოქალაქეობა. ჩანს, რომ მასწავლებლები იაზრებენ საკითხის მნიშვნელობას და შეძლებენ მის მოყვანას საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობაში.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (თვითშეფასება, კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია) და ინტერვიუთი დასტურდება,რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე, დაწყებითი საფეხურის ფარგლებში, სტანდარტებში წარმოდგენილი შედეგების და სამიზნე ცნებების სახით. გაწერილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები ორიენტირებულია თემის შესაბამის მიზანზე. **რჩევა:** სასურველია გაიწეროს და დაიფაროს მესამე თაობის ესგ-ით მოცემული ყველა სამიზნე ცნება.

3.კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის წარმოდგენლი დოკუმენტაციით კურიკულუმის ჩარჩო, ცალკე წარმოდგენილი ელექტრონული რესურსების ნუსხა, ფოტო მასალა. იკვეთება, რომ სკოლა აქტიურად იყენებს სასწავლო საგანმანათლებლო რესურსს, რაც იძლევა იმის საშუალებას ვიფიქროთ , რომ შესაძლებელია წარმატებით მიაღწიონ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგებს. დამხმარე საგანმანათლებლო რესურსი- (ელექტრონული თუმატერიალური) არის მიზნობრივი, საკმარისი, ხელმისაწვდომი, მრავალფეროვანი
საზოგადოებრივი	სკოლის დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება რომ საზოგადოებრივი

მეცნიერებები	კათედრა სასწავლო პროცესს უდგება ინკლუზიურად და იყენებენ სწავლების დიფერენცირებულ მიდგომებს. ეს კარგად ჩანს დიფერენცირებული საგაკვეთილო გეგმების ნიმუშებში და ასევე კომპლექსური ან კომპლექსური ტიპის დავალებების ალტერნატივების არსებობაში, როდესაც მასწავლებელი მოსწავლეებს დავალებების ალტერნატიულ გზებს სთავაზობს. გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ ისინი ითვალისწინებენ კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობებს და ინტერესებს. აღსანიშნავია რომ დიფერენცირებულ გეგმას თან ახლავს ასევე მასზე მორგებული შეფასების რუბრიკაც
უცხოური ენები	კურიკულუმებით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის კურიკულუმით გასათვალისწინებული სწავლის შედეგის მიღწევას. შერჩეული რესურსები და აქტივობები მორგებულია მოსწავლეთა თავისებურებებს და საჭიროებებს.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა: **მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დაწყებით და საბაზო საფეხურზე** შემოქმედებითი პროდუქტის (კომპლექსური დავალების) რაოდენობა, შეუსაბამოა სასწავლო მასალის სრულფასოვნად ასათვისებლად კონკრეტულ ვადაში. **მუსიკაში ყველა საფეხურის კურიკულუმში** არ იძებნება სვეტი „მაგალითები შედარებისთვის“, ასევე ზოგიერთ კურიკულუმში არ არის რესურსებში მითითებული გვერდები გრიფირებული სახელმძღვანელოდან. **რჩევა:** სასურველია, გადაიხედოს შემოქმედებითი პროდუქტის რაოდენობა, რათა მოხდეს სასწავლო მასალის სრულფასოვნად ათვისება კონკრეტულ ვადაში, კათედრაზე ჩამოყალიბდეს ერთიანი ხედვა, სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში **დაწყებით და საბაზო საფეხურზე** შემოქმედებითი პროდუქტის (კომპლექსური დავალების) რაოდენობასთან დაკავშირებით მაგ: სემესტრის განმავლობაში ერთი მაინც; სასურველია **მუსიკაში ყველა საფეხურის კურიკულუმში** ჩაემატოს „მაგალითები შედარებისთვის“ სვეტი და შეივსოს თემის, ცნება/ქვეცნებების და საკითხის გათვალისწინებით.. სასურველია, ძირითად რესურსად გამოყენებული იყოს გრიფირებული სახელმძღვანელოები, გვერდების მითითებით.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვება, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და

	გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად. **რჩევა:** სასურველია ელექტრონული რესურსების მეტი მრავალფეროვნება და მასწავლებელთა მიერ მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროების მიხედვით შექმნილი რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში.
მათემატიკა	სამივე საფეხურის კურიკულუმებით განსაზღვრული რესურსების ტიპი, რაოდენობა უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. **რჩევა:** სასურველია ელექტრონული რესურსების მეტი მრავალფეროვნება, ასევე აქცენტი გაკეთდეს მასწავლებელთა მიერ შექმნილი რესურსების გამოყენებაზე სასწავლო პროცესში.
სპორტი	სამივე საფეხურზე კურიკულუმის შედგენისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონ ისეთი სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ არსებული, მატერიალური რესურსით. სასწავლო პროცესში იყენებენ მასწავლებლის დამხმარე გზამკვლევებს სპორტის სხვადსხვა სახეობების მიხედვით. ასევე ციფრულ რესურსად წარმოდგენილია ვიდეორგოლები ზოგად განმავითარებელი ვარჯიშებით და ელექტრონული რესურსი ცხოვრების ჯანსაღი წესის პრინციპების შესახებ. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, თანდართული დოკუმენტაციის და ვიზიტის დროს გადმოგზავნილი გამოთხოვილი დოკუმენტაციის შესწავლისას, დასტურდება რომ, კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწყებითი კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ნაწილ კურიკულუმების კონცეპტუალურ ჩარჩოებში არ არის ასახული მრავალფეროვანი საგანმანათლებლო და სასწავლო რესურსები, რასაც კათედრის მასწავლებლების უმრავლესობა იყენებს სასწავლო პროცესში. **რჩევა:** სასურველია ყველა რესურსი, რასაც იყენებენ თემის დამუშავების პროცესში ასახონ კურიკულუმში არსებულ სვეტში „სასწავლო რესურსები“.

4.სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმში იკვეთება სწავლის დიფერენცირებული მიდგომები. წარმოდგენილი ისგ-ები , სასწავლო პროცესში ორგანიზების სხვდასხვა ფორმის გამოყენების პრაქტიკა, (ინდივიდუალური,ჯგუური, წყვილები,) ,მოსწავლეთათვის თავისუფლების მიცემა აარჩიონ -პროდუქტის ფორმა(პოსტერი, ბუკლეტი, ესე, მოდელი და ა,შ) წარდგინების ფორმა და საშუალება (ზეპირი, წერითი, ელექტრონული, მატერიალური) ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებულია ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომები, თუმცა ასეთი მიდგომები უნდა ჩანდეს შემაჯამებელ დავალებებშიც. **რჩევა: სამივე საფეხურის** ბუნებისმეტყველების პედაგოგებმა კომპლექსური დავალების მატრიცებში(აქტივობებში) გაითვალისწინონ **ინკლუზიური და დიფერენცირებული** მიდგომები. სასურველია თუ ასეთი მიდგომები გათვალისწინებული იქნება დიაგნოსტიკური და შემაჯამებელი ტესტების შედგენისას.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმნტაციის და გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ რომ შეფასების სისტემა თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებთან. სკოლა იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას. წარმოდგენილია სხვადასხვა აქტივობების განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები (პრეზენტაცია, ესე, დისკუსია და სხვა.) ასევე მცირე კომპლექსური ან კომპლექსური ტიპის დავალებების ცნებაზე მორგებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაც. ჩანს რომ შეფასება ხდება ჰოლისტური მიდგომებით **რჩევა:** სასურველია რომ ყველა საგანში ყველა კომპლექსურ ან კოპმლექსური ტიპის დავალებას თან ახლდეს ცნებებზე მორგებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭროებას. ისინი იყენებენ დიფერენცირებული სწავლის მეთოდებს.
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ კათედრას აქვს დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება, რაც ინტერვიურების პროცესში დადასტურდა. მიეცათ რჩევა, რომ ისგ, რომელსაც შეუდგენენ მოსწავლეს, მოიცავდეს ასაკობრივ თავისებურებებს, შეასწავლიდეს ზუსტად იგივე თემას, საკითხს და ამუშავებდეს ყველა ქვეცნებას, რომელიც

	გათვალისწინებულია კომპლექსური დავალების შესრულებისათვის. ოღონდ, მოცემულობა მოერგის მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და შესაბამისად წარიმართოს თემის დაძლევაზე მუშაობაც. კათედრამ გამოთქვა მზაობა აღნიშნული საკითხის მიმართ და ეს კრიტერიუმიც შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. დოკუმენტებში წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სსსმ მოსწავლისათვის. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა იწყება მოსწავლის საჭიროებების დადგენით და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლომ პროცესში იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომას. **რჩევა:** სასურველია შემაჯამებელ, სადიაგნოსტიკო, კომპლექსური ბუნების დავალებების პირობების შექმნისას მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან/და ინკლუზიური მიდგომები.
მათემატიკა	სამივე საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებები თავისი შეფასების რუბრიკებით, შემაჯამებელი დავალების ანალიზები, კომპლექსური დავალებებისა და შემოქმედებითი დავალებების განმავითარებელი რუბრიკები. **რჩევა:** სასურველია შეფასების რუბრიკები სრულყოფილად ფარავდეს კურიკულუმით განსაზღვრულ თემის გარშემო საკითხებს და შედგენილი იყოს კონკრეტულ დავალებაზე.
სპორტი	პედაგოგებთან საუბრისას აღმოჩნდა, რომ ცდილობენ სასწავლო პროცესები მოარგონ მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებს და ფიზიკურ შესაძლებლობებს. საგანში ჰყავთ სსსმ მოსწავლეც, რომლისთვისაც შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ისინი

	ითვალისწინებენ დიფერენცილებულ მიდგომებს.
ტექნოლოგიები	პედაგოგებთან გასაუბრებით დადგინდა რომ, დამუშავებული თემების და საკითხების, განვლილი გამოცდილების, მოსწავლეთა შესაძლებლობების, პოტენციალის და საჭიროებების გათვალისწინებით გეგემავენ ყოველ მომდევნო სასწავლო წელს. ინტერვიურების დროს ჩანდა მასწავლებლების მზაობა და წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ სწავლებისა და ინკლუზიური განათლების პრინციპებთან მიმართებაში.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს.ასევე,ინტერვიუდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ნათელი გახდა, რომ პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებს და მოსწავლეებს სთავაზობენ ალტერნატიულ გზებს კომპლექსური ბუნების დავალების პროდუქტის შესაქმნელად.

5.მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლამ სამივე საფეხურიზე წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები . თემისა და ზოგიერთ შემთხვევაში განხორციელებული კომპლექსური დავალების საკითხთან მიმართებაში წარმოდგენილია შეფასება მკაფიო კრიტერიუმებითა და პედაგოგის უკუკავშირით. ასევე დამატებით გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში მოცემულია მოსწავლეთა თვითშეფასების სქემები, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ზოგიერთი სხვა ინსტრუმენტი, რაც ადასტურებს, რომ სკოლა მუშაობს/აქვს მზაობა სწავლებისას გამოიყენოს შეფასების სისტემა , თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პედაგოგების

	მიერ გამოგზავნილი რუბრიკების ნაწილი არის ცნებებზე ორიენტირებული და მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ, მაგრამ რუბრიკების ნაწილი არის ზოგადი. რადგან სკოლის პედაგოგებს აქვთ ესგ-ის მიხედვი რუბრიკების შედგენის გამოცდილება, კოლეგებს გაუწევენ შესაბამის დაეხმარებას. **რჩევა:** სასურველია, **საბაზო და საშუალო საფეხურზე** შეიქმნას **ყველა** სასწავლო თემის ფარგლებში **განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები,** სამიზნე ცნებების და ინდიკატორების საფუძველზე საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციით საზოგადოებრივი კათედრის საგნობრივი ჯგუფის სამივე საფეხურზე წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ეს არის სხვადასხვა აქტივობების შეფასების რუბრიკები, და ასევე დამატებით დოკუმეტაციაში რამოდენიმე ცნებაზე მორგებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაც. გასაუბრებაზეც გამითქვეს მზაობა რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს მოარგებენ ცნებებსა და ინდიკატორებს **რჩევა:** სასურველია სამივე საფეხურზე იყოს თემის ფარგლებში ცნებებზე და ინდიკატორებზე მორგებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურის ყველა საგანში ასევე სასურველია კომპლექსურ ან კომპლექსური ტიპის დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შეფსების რუბრიკები სამივე საფეხურზე.
უცხოური ენები	შეფასების სისტემები, შეფასების რუბრიკები: გამნსაზღვრელი და განმავითარებელი, შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებს და ამოცანებს.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრამ მტკიცებულებად წარმოადგინა დაწყებითი საბაზო და საშუალო საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. მიეცათ რჩევები და კათედრა შეძლებს მსგავსი მოცემულობის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნას ყველა თემასთან მიმართებით რაც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სახელმწიფო ენა	შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (როგორც ჰოლისტური, ასევე ანალიტიკური) სხვადასხვა ტიპის აქტივობებისთვის (მაგ.:ესეს შეფასების, პრეზენტაციის, ჯგუფური მუშაობის, დისკუსიის და სხვა). კომპლექსური ბუნების დავალებისთვის წარმოდგენილი აქვთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. **რჩევა:** სტანდარტით გათვალისწინებული მიღწევების ინდიკატორების საფუძველზე სრულად მომზადდეს შერჩეულ თემებთან ან/და საკითხებთან / ქვესაკითხებთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, იმ კონტექსტ-მაგალითებისათვის, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შუალედური სასწავლო მიზანი (კომპლექსური /კომპლექსური ბუნების დავალებები ან/და სასწავლო პროექტები), აგრეთვე ყველა თემის ფარგლებში სრულად მომზადდეს ინდიკატორების საფუძველზე საკითხებთან და ქვესაკითხებთან მიმართებით განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.
მათემატიკა	წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები., რომლებც შესაბამისობაშია სტანდარტის მთხოვნებთან **რჩევა:** სასურველია შეფასების რუბრიკები სრულყოფილად ფარავდეს კურიკულუმით განსაზღვრულ თემის გარშემო საკითხებს და შედგენილი იყოს კონკრეტულ დავალებაზე.
სპორტი	სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები, რომლებიც აფასებს კურიკულუმით გათვალისწინებული სამივე სამიზნე ცნებისთვის მისაღწევ შედეგს. **რჩევა:** სამომავლოდ, სასურველი იქნება, შეფასების რუბრიკები შეიქმნას კურიკულუმით გათვალისწინებული სხვა თემების მიხედვითაც

ტექნოლოგიები	სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის შეფასება, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასებისას. რასაც ადასტურებს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, რომლებიც პასუხობს სამიზნე ცნებებს და შესაბამისად მიემართება გრძელვადიან შედეგებს. წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება. ჩანს, რომ მასწავლებლებს ზოგადად აქვთ ხედვა როგორ მოხდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოება. რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლას აქვს ხედვა გამოიყენოს როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის გაუმჯობესებისთვის.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, მასწავლებლები აქტიურად მუშაობენ შეფასების სქემებზე,კათედრას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს ზოგადი სახის შეფასების რუბრიკები სხვადასხვა ტიპის აქტივობებისთვის. **რჩევა-** სასურველია ყველა საგანში, შეფასების რუბრიკებში რაიმე საკითხის/ კომპლექსური ტიპის დავალების/თემის/სასწავლო პროექტის/შემაჯამებელი დავალების შეფასებისას გაიწეროს კონკრეტული მოლოდინები/მიღწევის შედეგები თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, სამიზნე ცნებაზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს კავშირი შუალედურ მიზანსა და გრძელვადიან მიზანს შორის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითო/საბაზო /საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ ბრძანებაN01-03/36
- კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია.
- კათედრის პორტფოლიოები

- კათედრის სხდომის ოქმები
- შეფასების რუბრიკები,
- შემაჯამებელი დავალებები შეფასების რუბრიკებითა და ანალიზით;
- კომპიუტერულ ტექნოლოგიებში განხორციელებული პროექტების ბმულები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მოწოდებული დოკუმენტაციით იკვეთება სასწავლო სასკოლო გეგმასა და საგნობრივ კურიკულუმს შორის კორელაცია. სასწავლო საგნის საათობრივი დატვირთვა და სემესტრული განაწილება შეესაბამება კურიკულუმში გაწერილი თემისა თუ ძირითადი საკითხებისთვის დათმობილი საათების რაოდენობას. წარმოდგენილი სასწავლო თემები და მიზნები დაგეგმილ და განხორციელებულ აქტივობებთან შესაბამისობაშია. აღნიშნულს ადასტურებს თემატური მატრიცები, რომელიც სამივე საფეხურის ძრითადად ყველა კლასში არის მოცემული. სკოლამ წარმოადგინა დაგეგმილი/განხორციელებული გაკვეთილის გეგმები და მოსწავლეთა ნამუშევრები. ასევე სასწავლო პროცესში გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები, რაც ნიშნავს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმნტაციით, ესენია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმნტი თუ სამივე საფეხურის კურიკულუმები, შასაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და კურიკულუმის ფარგლებში მუშავდება ცნებები, თემები, საკითხები და კომპლექსური ან კომპლექსური ტიპის დავალებები. ეს ყველაფერი დასტურდება მოსწავლეთა ნამუშევრებით და მასწავლებლის რეფლექსიებით. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კათერის წევრები თანამშრომლობენ კურუკულუმის დაგეგმვასა და მისი განხორციელების გზაზაე გამოკვეთილი პრობლემების გადაჭრაში
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმების შესაბამისად, ამას ადასტურებს სამივე საფეხური კურიკულუმები, მასწავლებლებთან შეხვედრა და მათგან გასაუბრება. სასწავლო პროცესში მათ მიერ ცოდნის სამ კატეგორიაზე გასვლა.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური კათედრის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის დოკუმენტაციიდან და ინტერვიურების პროცესიდან დაზუსტდა, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება

	სწავლის სწავლაზე და ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან, თვითშეფასების ანაგრიშიდან და კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი სამივე საფეხურზე ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ყველა საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმები მოიცავს ეროვნული გეგმის მოთხოვნებზე მორგებულ თემატურ ერთეულებს, შუალედურ მიზნებს, აქტივობებს და დიფერენცირებულ დავალებებს. კურიკულუმში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები, ინტეგრირებული თემები პრაქტიკაში ხორციელდება, რაც დასტურდება გაკვეთილის გეგმებით, შეფასების რუბრიკებით და მასწავლებელთა რეფლექსიით.
მათემატიკა	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შედეგად, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ყველა მოთხოვნას: მოცემულია სამიზნე ცნებები გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირით, გაწერილია თემები, რომლებიც მუშავდება სამიზნე ცნებებით, წარმოდგენილი საკითხები, საკითხების ქვესაკითხები იერარქიულ კავშირშია ერთმანეთთან. წარმოდგენილია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, დავალების იდეა, კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმის დაგეგმვა-შემუშავება ხდება თანამშრომლობით გარემოში, ასევე გამოთქვეს მზაობა მომავალშიც აქტიური თანამშრომლობის.
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ სამივე საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოში პედაგოგების მიერ სწორადაა გაწერილი ის სასწავლო თემები და საკითხები, რომელთა განხორციელებასაც მოახერხებენ სასწავლო პროცესის წარმართვისას, სკოლის ბაზაზე არსებული ინფრასტრუქტურის მიხედვით. პედაგოგები ცდილობენ სასწავლო პროცესის წახალისებას და კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში სასკოლო აქტივობების გარდა (სასკოლო

	ფესტივალები), არაფორმალური განათლების მხრივ აქტივობებში ჩართონ მოსწავლეები. სასწავლო პროცესი გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე - მოსწავლეების საფეხურის შესაბამის შედეგზე გასაყვანად.
ტექნოლოგიები	სკოლაში სასწავლო პროცესი დაეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს ეფუძნება, რასაც ადასტურებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიით და მასწავლებლებთან გასაუბრება.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან დგინდება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მიხედვით: საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემატური ერთეულები და საკითხები შეესაბამება საგნობრივ სტანდარტებსა და მისაღწევ შედეგებს; აქტივობები და რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად;

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად. სკოლას აქვს მოქნილი მექანიზმი რომელიც უზრუნველყოფს სწავლის პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას. რომელიმე მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში ხდება სხვა მასწავლებლით ჩანაცვლება. დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ სტიქიური უბედურების ან მძიმე კლიმატური პირობების დროს სასწავლო პროცესი წყდება რესურსცენტრთან შეთანხმებით და აღდგება შაბათი დღის ხარჯზე, იმავე რაოდენობით რაც სამუშაო კვირას მოაკლდა. ადამიანური რესურსების მართვის პილიტიკის დოკუმენტში საუბარია ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექნიზმზე. განსაზღვრულია საჭიორბის შემთხვევაში ახალი კადრის შერჩევის წესი და არსებული კადრების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. სკოლას აქვს ტრანზიციის წესი . მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვა ხორციელდება სკოლის შინაგანაწესით და სკოლის მიერ შემუშავებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით. სამივე საფეხურის კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები და იძლევა მათი საჭიროებების მიხედვით ცვლილების საშუალებას.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ მოწოდებული შეფასების სისტემასთან დაკავშირებული ზოგიერთი რესურსის შინაარსი შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებს, მიზნებსა და შედეგებს. ხელს უწყობს მოსწავლეების მიერ საგნის სწავლის შედეგების მიღწევას. იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით. პედაგოგების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები თემისა და კომპლექსური დავალების ფარგლებში, მასწავლებლის უკუკავშირი და რეფლექსიები, მეტყველებს იმაზე, რომ შეფასების პროცესთან დაკავშირებული საკითხები წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისათვის. სკოლა იყენებს ვერიფიკაციის მექანიზმს შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენების ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის და ობიექტურობის დასადგენად.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტით, შეფასების რუბრიკებით და გასაუბრებით ჩანს, რომ სკოლა იყენებს მრავალკომპონენტიან შეფასებას. რუბრიკებიდან ჩანს, რომ მოსწავლეები სხვადასხვა კომპონენტში ფასდებიან. გასაუბრებაზე აღნიშნეს რომ მოსწვლეებმა ყოველთვის წინასწარ იციან შეფასების რუბრიკები და შეფასების რუბრიკის შექმნისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. შესაბამისად დგინდება, რომ შეფასების სისტემა სამართლიანი, ვალიდური და გამჭირვალეა
უცხოური ენები	შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე და ობიექტური, შეფასების რუბრიკების კრიტერიუმები გაწერილი და მოსწავლეებმა იციან რაში ფასდებიან და რატომ. შეესაბამება სტანდარტს.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ინტერვიუს პროცესიდან გამომდინარე შეგვიძლია დავსკვნათ, რომ შეფასების კრიტერიუმები შემუშავებულია საფეხურის სტანდატრის გათვალისწინებით. მოსწავლეები ფასდებიან კონკრეტულ სამიზნე ცნებებეზე ორიენტირებით მრავალფეროვანი თემის საკითხის ფარგლებში. კათედრას შემუშავებული აქვს კონკრეტული დავალების შეფასების რუბრიკები. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავსკვნათ, რომ სამივე საფეხურზე ესტეტიკური აღზრდის მიმართულებით შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი ატარებს ჰოლისტურ ხასიათს. მორგებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე და იძლევა დიფერენცირების საშუალებას.

სახელმწიფო ენა	მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად და სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტის თანახმად სამივე საფეხურზე შერჩეულია შეფასების პირველი მოდელი, რომელიც გულისხმობს მოსწავლეთა მრავალკომპონენტიან შეფასებას. სკოლაში აგრეთვე არსებობს ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც ასახულია ინფორმაცია არსებული შეფასების სისტემის თავისებურებებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუდან იკვეთება, რომ გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობები შესაბამისი კრიტერიუმით ფასდება, რომელებზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი. აქიდან გამომდინარე დგინდება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური და გამჭვირვალე. სასწავლო პროცესში სკოლა ზრუნავს ობიექტურობასა და სამართლიანობაზე.
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე და გასაუბრების შედეგად ჩანს, რომ სამივე საფეხურზე სკოლაში შეფასების სისტემები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს. ვალიდურია, რადგან შესაბამისობაშია საგნობრივ სტანდარტებთან, სანდოა, რადგან კრიტერიუმებითა არის წარმოდგენილი, სამართლიანია, რადგან მოსწავლეებისთვის წინასწარ ცნობილია შეფასების რუბრიკები, რომლითაც ფასდებიან.
სპორტი	სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები და სკოლაში არსებობს ვერიფიკაციის მექანიზმი. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შემუშავებული ესგ- ს მოთხოვნების გათვალისწინებით და გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან.
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია შეფასების რუბრიკების და მექანიზმების განხორციელება სკოლაში და წარმოდგენილია უკვე არსებული შეფასების რუბრიკების ნიმუშები. აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი და აღწერილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი; მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობები შესაბამისი კრიტერიუმით ფასდება, რომელებზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი. აქედან გამომდინარე დგინდება ,

	რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური.

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სსიპ - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლის დირექტორის 2024 წლის 13 სექტემბერი ბრძანება N01-03/38- ით დამტკიცებული ,, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმით“ სასკოლო სასწავლო გეგმით დასტურდება, რომ სკოლას უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებას.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სასკოლო გეგმაში განსაზღვრულია შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და მტკიცებულებების შენახვა არანაკლებ სამი წლის ვარით. შეფასებები ინახება ელექტრონულ ჟურნალში. ასევე შეფასებები და მოსწავლეთა ნამუშევრები ინახება საგნის მასწავლებლებთან კათედრაზე. თითოეული საგნის კაბინეტში გამოფენილია მოსწავლეთა ნამუშევრები. კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები როგორიცაა: გასული წლის ოქმები, ჩატარებული გაკვეთილის შეფასებები, რეფლექსიები, გასულ წლებში ჩატარებული გაკვეთილის გეგმები და უკუკავშირები, ეს ცხადყოფს, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი; ბრძანება N01-03/38
- შეფასების რუბრიკები
- დაწყებითი/საბაზო/ საშუალო საფეხურის კათედრის ოქმები

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისის დამტკიცების ბრძანება **N** 01-03/33
- ტრანზიციის დებულება
- ტრანზიციის დებულების დამტკიცების ბრძანება N01-03/35
- შინაგანაწესი
- დაწუებითი/საბაზო/ საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- შემაჯამებელი დავალების ნიმუშიები
- სკოლის თვითშეფასების ფორმა

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ მოწოდებული სამივე საფეხურის კურიკულუმებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესში განხორციელებულ აქტივობებში გამოიყენება და კურიკულუმში გაწერილია ძირითადი და დამხმარე (ელექტრონული თუ მატერიალური) საგანმანათლებლო რესურსები
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივ კურიკულუმებში მკაფიოდ არის წარმოდგენილი, როგორც ძირითადი სასწავლო რესურსი, ასევე დამხმარე რესურსებიც. საგნის სპეციპიკიდან გამომდინარე მეტი რესურსები არის სამოქალაქო განათლებსა და გეოგრაფიაშ ვიდრე ისტორიაში.
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში ხდება ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსების გამოყენება, რომელიც ასახულია და წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმებში. შეესაბამება სტანდარტს.

ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი სკოლის მიერ გადმოგზავნილი აქტივობების მიხედვით, ნათლად ჩანს, რომ კათედრა გარდა ძირითადი რესურსებისა, აქტიურად იყენებს დამატებით სასწავლო რესურსებს (მაგ. ტელესკოლა, რეპროდუქციები, აუდიო და ვიზუალი მასალა)
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვეა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად. **რჩევა:** ყველა საფეხურის კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ.
მათემატიკა	სამივე საფეხურზე სასკოლო კურიკულუმებში წარმოდგენილია ძირითადი და დამხმარე რესურსები საკითხების შესაბამისად, რიგ შემთხვევაში დაკონკრეტებულია სახელმძღვანელოების ავტორები, გვერდები. ელექტრონული რესურსების ბმულები. **რჩევა**: სასურველია ყველა კლასში კურიკულუმის ელექტრონული რესურსებით უზრუნველყოფა.
სპორტი	პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ისინი სასწავლო პროცესში იყენებენ კურიკულუმით გაწერილ რესურსებს: არსებულ სპორტულ ინვენტარს, გზამკვლევებს მასწავლებლისათვის, ვიდეორგოლებს ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით, პრეზენტაციებს თეორიისათვის. პედაგოგები ცდილობენ არსებული ინფრასტრუქტურის კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის საფეხურეობრივ შედეგზე გაყვანას.
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის

	ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას ძირითად სასწავლო რესურსად განსაზღვრული აქვს გრიფირებული სახელმძღვანელოები. ინტერვიუსას გამოიკვეთა რომ იყენებენ სხვადასხვა რესურსებს. რჩევა - სასურველია დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სრულად შეიტანონ ის სასწავლო რესურსები, რასაც იყენებენ, მაგალითად საჭირო მატერიალური რესურსები; ელ.ბმულები...

1. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნის სწავლებისას სკოლის მიერ წარმოდგენილია კლასებისა და თემების მიხედვით დალაგებული საგანმანათლებლო დამხმრე რესურსი და ფოტო მასალა, რის საფუძველზეც , შეიძლება ითქვას , რომ სკოლა აქტიურად იყენებს დამხმარე რესურსს საგნობრივი სტანდარტით გათვალისიწინებული თემების, საკითხებისა და სამიზნე ცნებებთან მიმართებით სწავლების დროს. კომპლექსური დავალების განხორციელებისას. **რჩევა: სასურველია**, სკოლამ შექმნას რესურსების ვალიდაციის დოკუმენტი, რის საფუძველზეც შეირჩევა დამხმარე სასწავლო რესურსები.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებით ჩანს დამხმარე სასწავლო რესურსების შესაბამისობა საკითხებთან, მათი მიზნობრიობა, კავშირი საკითხებთან ცნებებთან, მიცემულ დავალებასთან და მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებიც გათვალისწინებულია.
უცხოური ენები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას. რაც ასახულია სამივე საფეხურის კურიკულუმებში.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლისა და კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ ესთეტიკური საგნის სამივე საფეხურზე დამხმარე სასწავლო რესურსი არის ვალიდირებული სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. წარმოდგენილ კურიკულუმებში ძირითად რესურსად სახელმძრვანელოები დამხმარე სასწავლო რესურსად კი სამინისტროს მიერ გაზიარებული რესურსებია მითითებული.

სახელმწიფო ენა	დამხმარე სასწავლო რესურსების მიმოხილვა ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ასპექტია. სკოლამ უნდა გამოიყენოს სხვადასხვა მეთოდი დამხმარე რესურსების შესარჩევად, და შესაფასებლად, რათა უზრუნველყოს, რომ ისინი აკმაყოფილებდნენ მოსწავლეებისა და საგნობრივი სასწავლო გეგმის საჭიროებებს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუდან გამოვლინდა, ამ საკითხების განხილვა პერმანენტულად ხორციელდება კათედრის შეხვედრებზე. გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს.
მათემატიკა	წარმოდგენილი დაწყებითი, საბაზო და საშუალო სასკოლო კურიკულუმებით დგინდება, რომ რომ სკოლა დამხმარე რესურსების შერჩევას ახდენს მოსწავლეთა ასაკის და შესაძლებლობების გათვალისწინებით.
სპორტი	გასაუბრებისას აღმოჩნდა და კათედრის ოქმებიც ადასტურებს, რომ ისინი ახდენენ დამხამრე სასწავლო რესურსების ვალიდაციას.
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ვალიდურია, რადან შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებს და მოსწავლეთა საჭიროებებს. რომელიც განხილულია და დამტკიცებულია საგნობრივი კათედრის მიერ.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევის საკითხის განხილვა ხორციელდება კათედრის შეხვედრებზე. გამოიყენება ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს.

2. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას აქვს კეთილმოწყობილი და სათანადო ინვენტარით აღჭურვილი ლაბორატორიები. მათ შორის პროექტორი, ლეპტოპები, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქტები, სკოლაში არსებული მრავალფეროვანი თვალსაჩინოება -პოსტერები, მოდელები, ექსპერიმენტის ჩასატარებლად საჭირო ხელსწაყოები, რაც წარმოადგენს საკმარის მასალას სწავლის შედეგების მისაღწევად. **რჩევა:** სასურველია, სკოლამ გონივრულ ვადებში უზრუნველყოს გამწოვი სისტემის, წყლის შეყვანა/დამონტაჟება და სამუშაო მაგიდებზე დამცავი მუშამბების გამოყენება .
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარით და გასაუბრებით ჩანს რომ სკოლა უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით. საკლასო სივრცით და მოსწავლეთა რაოდენობით, ასევე ჩანს ტექნიკური აღჭურვაც, რადგან მასწავლებლები საკმაოდ ხშირად იყენებენ ელექტრო რესურსებს.
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში, წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის მიხედვით, მასწავლებელთა ინტერვიუდან დგინდება რომ სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოგდენილი მტკიცებულებებიდან შესაძლებელია დავსკვნათ, რომ სასწავლო შედეგები და შემოქმედებითი პროცესები უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით ასევე სკოლა სრულიად უზრუნველყოფს მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის დაკმაყოფილებას მატერიალური რესურსით.
სახელმწიფო ენა	თვითშეფასების კითხვარითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი კლასის ინფრასტრუქტურით. საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში. ინტერვიუდან ჩანს, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში საკმაოდ ხშირად იყენებენ ციფრულ რესურსებს. (პრეზენტაციისთვის, საკლუბო მუშაობისას)
მათემატიკა	სამივე საფეხურზე სკოლა უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით და შესაბამისი სასკოლო სივრცით, საკლასო სივრცეები მოწესრიგებული და სასკოლო აქტივობებით უხვადაა აღჭურვილი.
სპორტი	სამივე საფეხურზე კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია არსებული მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
ტექნოლოგიები	სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია განახლებულია, სკოლას მიღებული აქვს ახალი

	კომპიუტერები და სხვა ტექნიკა. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერების რაოდენობა შეესაბამება კლასში მოსწავლეთა რაოდენობას. კომპიუტერების რაოდენობა საკმარისია იმისთვის, რომ საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობდეს სრულფასოვნად. შერწყმულ ზეგაანის დაწყებით სკოლაში, მოსწავლეები სარგებლობენ საკუთარი ბუკებით.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლის შედეგების მიღწევისთვის მნიშვნელოვანია მატერიალური რესურსები, კურიკულუმებში ჩანს, რომ აქტიურად იყენებენ ელ.რესურსებს, პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებითა და მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი კლასის ინფრასტრუქტურით.

3. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

დასკვნის პროექტში აღნიშნული იყო, რომ სკოლაში დასაქმებულია 29 მასწავლებელი. აქედან 2 წამყვანი სტატუსის მქონე, 21 უფროსი ხოლო, 6 მასწავლებელს არა აქვს მასწავლებლის პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემით გათვალისინებული სტატუსი, რომლებთანაც ერთი სასწავლო წლის ვადით არის დადებული შრომითი ხელშეკრულებები, თუმცა სკოლა გამოთქვამს იმედს, რომ ჩააბარებენ საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელ გამოცდებს, რადგან თითოეული მათგანი დარეგისტრირებულია საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების გამოცდაზე. მიუხედავად ამისა სკოლა პრევენციის მიზნით აცხადებს ვაკანსიებს აღნიშნულ თანამდებობებზე სექტემბრის თვემდე. სკოლას ჰყავს საკმარისი მასწავლებელთა რაოდენობა სასწავლო პროცესის განსახორციელებლად. ისტი-ს, მე და საზოგადოების, ჭადრაკის და ინგლისური ენის მასწავლებლები გადაადგილდებიან სკოლის სამივე ლოკაციაზე. ხოლო დანარჩენი მასწავლებლები მუდმივად იმყოფებიან სკოლის კონკრეტულ მისამართზე. ზუნდაგის შენობაში მყოფი **დაწყებითი კლასის** უსტატუსო მასწავლებელს დამთავრებული აქვს შოთა რუსთაველის სახელობის სახემლწიფო უნივერსიტეტი „დაწყებითი კლასის პედაგოგიკა და მეთოდიკა“. პირად საქმეში ინახება სკოლის დირექტორის მადლობის სიგელი წარმატებული პედაგოგიკური მოღვაწეობისათვის. გავლილი აქვს მასწავლებლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები: ,,ელექტრონული სწავლება“, ,,პროექტებით სწავლება და ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოფიების ინტეგრირება“, „სასწავლო პროცესის დაგეგმვა და სწავლის ეფექტური სტრატეგიები“, აჭარის განათლების ფონდის მიერ ორგანიზებული კომპიუტერის შესწავლის 80 საათიანი კურსი, „ბათუმის მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებული „გრძელვადიანი კურსი პროფესიულ უნარებში“. მონაწილეობდა და მოხსენებით გამოვიდა საქართველოს პედაგოგთა და თავისუფალი პროფკავშირის მიერ ორგანიზებულ კონფერენციასი „წარმატებული პრაქტიკის გაზიარება“.ზუნდაგის ტერირორიაზე მყოფი მეორე **დაწყებითი კლასის** მასწავლებელს დასრულებული აქვს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, „სკოლამდელი აღზრდის პედაგოგისა და

ფსიქოლოგის სპეციალობით“. გავლილი აქვს მასწავლებლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები: „შებრუნებული საკლასო ოთახი“ „ელექტრონული სწავლება“, „მატემატიკა დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისთვის“, „სასწავლო პროცესის დაგეგმვა და სწვლის ეფექტური სტრატეგიები. ბათუმის მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებული“ გრძელვადიანი კურსი დაწყებითი საფეხურის-ქართული ენისა და ლიტერატურის, მატემატიკის, ბუნებისმეტყველების პროფეისული ცოდნისა და ზოგად მეთოდოლოგიაში“,“ სასწავლო პროცესის დაგეგმვა და სწავლის ეფექტური სტრატეგიები“. მონაწილეობდა და მოხსენებით გამოვიდა საქართველოს პედაგოგთა და თავისუფალი პროფკავშირის მიერ ორგანიზებულ კონფერენციასი „წარმატებული პრაქტიკის გაზიარება“. პირად საქმეში ინახება სკოლის დირექტორის მადლობის სიგელი წარმატებული პედაგოგიკური მოღვაწეობისათვის. დაწყებითი საფეხურის **სპორტისა და ჭადრაკის** მასწავლებელი გადაადგილდება პერიფერიულ შენობებში(ბზუბზუ და ზუნგადა). მასწავლებელს არ აქვს სტატუსი, თუმცა გავლილი აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერებატა სამინისტროს ტრენინგი“ სწავლა-სწავლების თანამედროვე სტრატეგიების გამოყენება ჭადრაკის სწავლება დაწყებით საფეხურზე“. პირად საქმეში წარმოდგენილია სერტიფიკატი რომელიც ადასტურებს, რომ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს პედაგოგთა და თავისუფალი პროფკავშირის მიერ ორგანიზებულ კონფერენციასი „წარმატებული პრაქტიკის გაზიარება“. დირექტორის მადლობის სიგელი წარმატებული პედაგოგიური მოღვაწეობისათვის. გავლილი აქვს მასწავლებლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები: „მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს მახასიათებლები“,“ზოგადი კურსი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლისთვის“, ,,დისტანციური სწავლება მაიკროსოფტის სერვისების გამოყენებით“, „სასწავლო პროცესისი მართვის პოზიტიური მართვა და მზაობა პროფესიული განვითარებისთვის“. გავლილი აქვს ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდის (ბათუმის მასწავლებლის სახლის) მიერ ორგანიზებული აქტივობები: „მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები“, „ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება-ინკლუზიური განათლების პრინციპების დაცვით“, „მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები“. პედაგოგს დასრულებული აქვს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, განათლების ბაკალავრის სპეციალობით. ძირითად შენობაში მყოფი **სპორტის მასწავლებლეს, რომელიც ასწავლის საბაზო და საშუალო საფეხურზე,** წარმოდგენილი აქვს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიორი ინსტიტუი, სპეციალობით“ფიზიკური კულტურა“ დიპლომი. გავლილია ქვს შ.პ.ს. „ლიბო- met“-ის ტრენინგი: „ სწავლებისა და სწავლის თეორიები და მათი გამოყენება მოსწავლეთა სწავლის მოტივაციისათვის“. პირად საქმეში ინახება ასევე სერტიფიკატი კალათბურთის პროგრამაში მონაწილეობისთვის. ძირითად შენობაში მყოფი **დაწყებითი კლასების** მასწავლებელს დასრულებული აქვს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი, დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის სპეციალობით. გავლილი აქვს მასწავლებლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები: „შებრუნებული საკლასო ოთახი“ „ელექტრონული სწავლება“, „სასწავლო პროცესის დაგეგმვა და სწვლის ეფექტური სტრატეგიები“. ბათუმის მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებული ზოგადი პროფესისული უნარების გრძელვადიანი კურსი.USAID- საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებსი გავლილი აქვს 12 საათიანი ტრენინგი „ ქოუჩინგი მცირე ჯგუფებში საკლასო გარემის, სასწავლო აქტივობებისა და რესურსების, განმავიტარებელი სეფასების, დიფერენცირებული სწავლების და მასწავლებელტა

გუნდური მუშაობის საკითხებზე.“შ.პ.ს. „ლიბო- met“-ის ტრენინგი:„ სწავლებისა და სწავლის თეორიები და მათი გამოყენება მოსწავლეთა სწავლის მოტივაციისათვის“. პირად საქმეში ინახება სკოლის დირექტორის მადლობის სიგელი წარმატებული პედაგოგიკური მოღვაწეობისათვის. წარმოდგენილია სერტიფიკატი რომელიც ადასტურებს, რომ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს პედაგოგთა და თავისუფალი პროფკავშირის მიერ ორგანიზებულ კონფერენციასი „წარმატებული პრაქტიკის გაზიარება“. გავლილი აქვს USAID- დაფინანსებული ტრენინგი “ წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის საკითხები სასკოლო დაწესებულებებში.” ესწრებოდა ორგანიზაცია ტრეანსფორმაციული ტრენინგების მიერ ორგანიზებული ტრენინგს “ბავშვთა ფსიქოლოგია” და აიმაღლა შესაბამისი ცოდნა. ძირითად შენობაში მყოფი **დაწყებითი კლასების** მასწავლებელს დასრულებილი აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის პედაგოგიური ფაკულტეტი, დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის სპეციალობით. გავლილი აქვს მასწავლებლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები: „შებრუნებული საკლასო ოთახი“ „ელექტრონული სწავლება“, „მატემატიკა დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისთვის“, „სასწავლო პროცესის დაგეგმვა და სწვლის ეფექტური სტრატეგიები. ბათუმის მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებული“ გრძელვადიანი კურსი დაწყებითი საფეხურის-ქართული ენისა და ლიტერატურის, მატემატიკის, ბუნებისმეტყველების პროფეისული ცოდნისა და ზოგად მეთოდოლოგიაში“,“ სასწავლო პროცესის დაგეგმვა და სწავლის ეფექტური სტრატეგიები“ „ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება-ინკლუზიური განათლების პრინციპების დაცვით“,“პროექტებით სწავლება და ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოფიების ინტეგრირება“,გავლილი აქვს USAID- დაფინანსებული ტრენინგი “ წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის საკითხები სასკოლო დაწესებულებებში. „ლიდერი მასწავლებლის 18 საათიანი ტრენინგკურსი“, 12 საათიანი ტრენინგი „ ქოუჩინგი მცირე ჯგუფებში საკლასო გარემის, სასწავლო აქტივობებისა და რესურსების, განმავიტარებელი სეფასების, დიფერენცირებული სწავლების და მასწავლებელტა გუნდური მუშაობის საკითხებზე.“ ”IBDPTC-ს მიერ ორგანიზებული ტერენინგი „სურსათის ნარჩენების შემცირების საკითხები“,“შ.პ.ს. „ლიბო- met“-ის ტრენინგი:„ სწავლებისა და სწავლის თეორიები და მათი გამოყენება მოსწავლეთა სწავლის მოტივაციისათვის“. დემოკერტიული ინსტირუტის მიერ ორგანიზებული ტრენინგები: „cv-ისა და სამოტივაციო წერილის მომზადება“, „პროექტის წერა და დაგეგმვა, ფონდების მოძიების სტრატეგიები“, „ანალიტიკური წერა“. შპს. ცოდნის მაძიებლის ორთვისნი ბავსვთა ფსიქოლოგიის კურსი. პირად საქმეში ინახება სიგელები: „ თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა“ პროქტსი აქტიური მონაწილეობისათვის, 2017-2018 წლებში სასწავლო წლის წარმატებით დასრულებისათვის, 2019 წელს მოსწავლეებთან ერთად სკოლის ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობისათვის, 2020 წელს პროექტ „ტყე შეუნახე შვილებსა“ განხორციელებისათვის, 2023 წელს „დედა-ენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში აქტიური ჩართულობისათვის. ამავე წელს წარმატებული სასწავლო წლისათვის, 2024 წელს წარმატებული პედაგიგიური მოღვაწეობისათვის სკოლის მიერ. პირად საქმეში წარმოდგენილია სერტიფიკატი საქართველოს პედაგოგთა და თავისუფალი პროფკავშირის მიერ ორგანიზებულ კონფერენციასი „წარმატებული პრაქტიკის გაზიარებისათვის“

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რამდენადაც, სკოლის 6 პედაგოგი, რომლებიც სასწავლო პროცესს ახორციელებენ სამივე საფეხურზე, არა აქვს მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული სტატუსი

და შესაბამისად ვერ აკმაყოფილებენ ,,ზოგადი განათლების კანონით“ განსაზღვრულ მასწავლებლის განათლებისთვის დადგენილ მოთხოვნებს, სკოლა ვერ უზრუნველყოფს კურიკულუმის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის არსებობას.
ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია ხარვეზის აღმოფხვრის აქტივობები (1.შიდა და გარე კონკურსის გამოცხადება. გარე კონკურსის შემთხვევაში ვაკანსიის განთავსება მასწავლებლის დასაქმების პორტალზე https://teacherjobs.ge/ 2.კონკურსის ჩატარება 3.კვალიფიციური მასწავლებლის აყვანა და შესაბამისი სტატუსი შრომითი ხელშეკრულების გაფორმება), **პერიოდი** (2025 წლის ივლისი-2026 წლის ივლისი) **, ადამინური რესურსებით უზრუნველყოფა** (დირექტორი/საკონკურსო კომისია), **სხვა ჩართული მხარეები** (სსიპ ქედის საგანმანათლებლო რესურსცენტრი), **შესაბამისობის უზრუნველყოფის რისკი** (5%) **. ასევე შენიშვნების გრაფაში მოცემულია მასწავლებლის ვაკანსიის ვებგვერზე განთავსებული ვაკანსიების ლინკები. რამდენადაც ხარვეზის გასწორების პერიოდი მოიცავს 12 თვეს .**
ინდიკატორი 2.2.2.4. მეტწილად დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (2025 წლის ივლისი-2026 წლის ივლისი) სკოლამ უზრუნველყოს მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით განსაზღვრული სტატუსის მქონე დაწყებითი საფეხურისა მასწავლებლების, საბაზო და საშუალო საფეხურის სპორტის პედაგოგების დასაქმება.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებელთა პირადი საქმეები
- მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები
- მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელსეკრულებები
- კათედრის პორტფოლიოები
- ვერიფიკაციის დოკუმენტი
- სამივე საფეხურის კათედრის ოქმები
- მასწავლებელთა გამოცდაზე რეგისტრაციის ბარათები
- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- კომპიუტრულ ტექნოლოგიებში განხორციელებული პროექტების ბმულები;
- კომპიუტერული ტექნიკის მიღება-ჩაბარების აქტი;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგსა და შეფასებას. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი), აგრეთვე, რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება). სასკოლო კურკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება შემდეგი სამი მიმართულებთ: ა) მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი

პრობლემების გადასაჭრელად; ბ) სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის); გ) სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების განვითარებისთვის). სასწავლო პროცესისი მონიტორინგი და შეფასება გვხვდება კატედრების სხდომის ოქმებში. ასევე სკოლამ წარმოადგინა მასწავლებლების მიერ შესრულებული კურიკულუმების რექლექსიები, კლასების და საფეხურების მიხედვით, სადაც საუბარია როგორ მიმდინარეობდა კურიკულუმის განხორციელების პროცესი, იყო თუ არა სირთულე და დასჭირდათ თუ არა საგნობრივი კურიკულუმების მოდიფიცირება.

ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

კურიკულუმის რეფლექსიებით და მასწავლებლებთან ინტერვიუთი დგინდება, რომ კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასებისას გამოიკვეთება სასწავლო პროცესში არსებული მიღწევები და პრობლემები, გაანალიზდება ისინი და დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილია მექანიზმი რომლითაც სკოლა ახორციელებს მონიტორინგსა და შეფასებას. ამ შედეგებზე დაყრდნობით ხდება ცვლილებები სწავლის მეთოდებში, რესურსებსა და მიდგომებში.

ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია.

3.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში აღწერილია, რომ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგის მიმართულებას წარმოადგენს სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის) და სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების განვითარებისთვის). წარმოდგენილი დოკუმენტებით და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლას აქვს ურთიერთდასწრების, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი. ერთმანეთს ესწრებიან გაკვეთილებზე, აძლევენ უკუკავშირს და უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას კოლეგებს. აღნიშნული მექანიზმი ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებელთა გაკვეთილზე დასწრებას, უკუკავშირს, რეკომენდაციების მიცემას. მასწავლებლები წერენ რეფლექსიებს. კათედრის წევრებს შორის იკვეთება თანამშრომლობითი ურთიერთობის მაღალი ხარისხი, რაც ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებას.

ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის სხდომის ოქმები სამივე საფეხურზე
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

- კურიკულუმის რეფლექსიები
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025
- ურთიერთდასწრებების მასალები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სასკოლო სასწავლო გეგმას, კათედრების ოქმების და დამრიგებლის პორტფოლიოს მიხედვით შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, როგორიცაა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, იკვეთება, რომ მასწავლებლები სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ სხვადასხვა ტიპის შეფასების და თვშეფასების რუბრიკებს. სამივე საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ჩანს, რომ საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება სიტყვიერ განმავითარებელი კომენტარი. აგრეთვე დაწყებით საფეხურზე, წლის ბოლოს წერილობითი ფორმით აფასებენ თითოეულ მოსწავლეს, რომელშიც საუბარია მოსწავლის დადებითი მხარის წარმოჩენაზე, მიღწევებზე და რეკომენდაციებზე. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. სკოლა სამივე საფეხურზე მიმართავს ცნებებზე ორიენტირებული განმსაზრვრელი და განმავითარებელი რუბრიკების გამოყენებას. დამრიგებლები აგროვებს ინფორემაციას მოსწავლეთა სოციალურ-ემოციური ფაქტორების შესახებ. არსებობს მშობლებისათვის სპეციალური კითხვარი, რისი მიზანიცაა მოსწავლეების უკეთ გაცნობა და შემდეგ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინება შეფასების პროცესში.**ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია.**

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

სამივე საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალმხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებით და აღნიშნულის სასწავლო პროცესში გათვალისწინებით. მასწავლებლების განმარტებით, საგაკვეთილო პროცესების დროს ყურადღება მახვილდება მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე და შეფასების სისტემაც, შეფასების რუბრიკების სახით, აღნიშნულის გათვალისწინებითაა შექმნილი. წარმოდგენილი ისგ-ები, შემოქმედებითი ტიპის დავალებები, შეფასების რუბრიკები

და კათედრის ოქმები ასახავს ინფორმაცია შემაჯამებელი დავალებების განხილვასთან დაკავშირებით, მშობელთა და მოსწავლეთა კითხვარი უზრუნველოფს იმას, რომ შეფასება ხდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია.

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

დოკუმენტაციის შესწავლით და მასწავლებლებთან ინტერვიუებით დადგინდა, რომ სკოლას აქვს გამოცდილება სხვადასხვა ფორმით შეაგროვოს შეფასებისათვსი საჭირო მონაცემები. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ იყენებენ დაკვირვების მეთოდს. რადგან კლასებში მოსწავლეთა ძალიან მცირე რაოდენობაა და მარტივად შეიძლება დაკვირვების წარმოება თითოეული მოსწავლის საჭიროებაზე, მოტივაციასა და მზაობაზე. მასწავლებლები ახორციელებენ შამაჯამებელი დავალებების ანალიზს.

ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია.

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სკოლა შეფასებისას ეყრდნობა, როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებსა და სოციალურ ფაქტორებს და შესაბამისად აყალიბებს შეფასების რუბრიკებსაც. ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში ინიშნება ექსტერნის, სემესტრული და წლიური გამოცდები. შეფასების დროს გათვალისწინებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპი და დიფერენცირების მიდგომები. მასწავლებლები დაწყებით საფეხურზე I-IV კლასებში იყენებენ განმავითარებელ შეფასებას/კომენტარს უმეტესწილად სიტყვიერი ფორმით, ხოლო V-VI კლასებში იყენებენ როგორც გამსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებასაც. საბაზო და საშუალო საფეხურზეც ორივე შეფასების ფორმა გვაქვს. განმავითარებელი შეფასება ძირითადად გაიცემა სიტყვიერი ფორმით. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება აისახება ელექტრონულ ჟურნალშიც. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამაღლების მიზნით, კათედრებზე იგეგმება სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს კომპლექსური და მოიცავდეს სხვადასხვა მიმართულებას. მასწავლებლები ცდილობენ დანერგონ ეფექტური შეფასების პრაქტიკა. პედაგოგებთან გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ მოსწავლეებში აკადემიური მოსწრების გასაზრდელად მნიშვნელოვანია მათი კომპლექსური შეფასება. სკოლას აქვს შეფასების სხვადასხვა მეთოდების გამოცდილების გამოცდილება.

ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-2025
- შეფასების რუბრიკები
- დამრიგებლის პორტფოლიოები
- კათედრის ოქმები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია თუ როგორ ხდება კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია. გარდა ამისა, კათედრის ოქმებში აღწერილია შეფასების ის მიმართულება, რაც უნდა შეიცვალოს მომდევნო წელს კურიკულუმის გაწერისას. წარმოდგენილია მასწავლებლების შესრულებული კურიკულუმის განხორციელების რეფლექციები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის განვითარების მხარდასაჭერად კათედრა მოახდენს პროცესების რეფლექსიას, აღწერს მიღწეულ შედეგებს, გადასინჯვისა და რევიზიის შემდეგ შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რაც მნიშვნელოვნად დახვეწავს და განავითარებს სამომავლოდ კურიკულუმს. ამ პროცესებზე მუშაობა უკვე დაწყებული აქვთ. ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნულიდან გამომდინარე , აქვს მზაობა სამომავლოდ შექმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია

2.კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ეს გამოცდილება გათვალისწინებული არის სამივე საფეხურის დონეზე რაც დადასტურებულია კათედრის ოქმებში მოცემული ინფორმციით. ვინაიდან სკოლას აქვს მონიტორინგისა და შეფასების პროცესები აღწერილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიურ ჩარჩოში და სკოლა ამ ეტაპზე გადის პირველად ავტორიზაციას, შეგვიძლია ვთქვათ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია დაეფუძნება წინარე გამოცდილებას და გაითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია..

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრების ოქმები
- კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი 28.07.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი -------

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი ---

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი ---

უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი --

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი ---

ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი ---

სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, --

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, --

სპორტის საგნობრივი ექსპერტი --

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი -